ასოციაცია „ტოლერანტი“

საინფორმაციო ბიულეტენი

მესხი რეპატრიანტებისთვის

Ассоциация «Толеранти»

Информационный бюллетень

для месхетинских репатриатов

№5

„სამცხე-ჯავახეთის რეგიონული ასოციაცია **„ტოლერანტი“**

„TOLERANTI“ Samtskhe-Javakheti Regional Association

ბიულეტენი მზადდება და იბეჭდება სამცხე-ჯავახეთის რეგიონული ასოციაცია **„ტოლერანტის“** მიერ, ევროკავშირის დაფინანსებული პროექტის **– „საინფორმაციო–საკონსულტაციო ცენტრი მესხი რეპატრიანტებისათვის“** ფარგლებში.

The bulletin published by the Samtskhe-Javakheti Regional Association **"Toleranti"** within the framework of the project **"Information-Consultation Centre for the Meskhetian Repatriates"** funded by European Union.

ბიულეტენში გამოთქმული მოსაზრებები შეესაბამება არ ემთხვეოდეს ევროკავშირის პოზიციას.

The views expressed in the bulletin is the sole responsibility of the "Toleranti" and can be in no way taken as to reflect the views of the European Union"

ბიულეტენის შემდგენელი
მაკა კაჭკაჭიშვილი

რედაქტორი
უჩა ბლუაშვილი

კომპიუტერული უზრუნველყოფა
ირაკლი ბელთაძე

გამოქვეყნებულია ჟურნალ „კავკასიი აქცენტში“ №1, 2010 წელი.

რეპატრიაციის შესახებ კანონის დასამარება

2009 წლის 31 დეკემბერს რეპატრიაციის სტატუსის მაძიებელი დეპორტირებული მესხების დოკუმენტების მიღების ვადა ამოიწურა.

მე, როგორც საქართველოს მოქალაქე ვამაყობ ჩემი ქვეყნით. მიყვარს და ყველანაირად ვიცავ მას. როცა ხელისუფლება ჩემი ინტერესების გათვალისწინებით მოქმედებს, მე მას მხარს ვუჭერ. თუ ის ჩემზე ცუდად მუშაობს, ჩემი მოქალაქეობრივი ვალია, ვთქვა ამის შესახებ.

პრობლემები ზნეობასთან ან პოლიტიკური ნების არარსებობა

მე ყოველთვის ვამბობდი, რომ დეპორტირებული მესხების საკითხი - ეს პირველყოვლისა, არის ზნეობრივი და პოლიტიკური საკითხი და მხოლოდ შემდეგ ეკონომიკური, იურიდიული და ა.შ. სწორედ ზნეობა და პოლიტიკური ნება განსაზღვრავს პოლიტიკურ ნაბიჯებს, მოქმედებაში მოიყვანს ეკონომიკური ბერკეტები და გვევლინება საკანონმდებლო აქტების ხერხემლად.

1999 წლის აპრილში ჩემი ქვეყანა გახდა ევროპის საბჭოს წევრი. მაშინ მე, რამდენიმე სხვა ადამიანთან ერთად, ვამბობდი, რომ ჩვენთვის ამ ორგანიზაციის წევრობა ნაადრევია, რომ საზოგადოება და ხახელმწიფო ჯერ მზად არ არის ევროპული სტანდარტების მხარდასაჭერად, განსაკუთრებით ადამიანის უფლებათა დაცვის თვალსაზრისით.

ჩვენ ვამბობდით, რომ ჯერ საჭიროა დარეგულირდეს საკითხები, რომლებიც უმცირესობებს ეხება, გატარდეს დემოკრატიული რეფორმები, გადაწყდეს მესხების პრობლემა და ა. შ. და მხოლოდ შემდეგ უნდა შევიტანოთ განაცხადი ევროპის საბჭოში გასაწევრიანებლად. მაგრამ საქართველოში მაშინ გამეფებული იყო ეიფორია და ყველა მიესალმებოდა ევროსტრუქტურებთან მოსალოდნელ ინტეგრაციას... ჩვენს წინააღმდეგ მაშინ ამხედრდნენ, დაგვადანაშაულეს არაპატრიოტიზმში და სხვა მრავალ „ცოდვაში“.

ჩვენ გვარწმუნებდნენ (ხელისუფლებაც და ევროკავშირის წარმომადგენლებიც), რომ საქართველოს მიიღებდნენ გარკვეული პირობებით, თითოეულზე კონკრეტული ვადის დაწესებით და რომ საქართველოს ევროსაბჭოში გაწევრიანება შექმნიდა პრობლემების გადაჭრის მექანიზმებს და მხოლოდ დააჩქარებდა ჩვენს მიერ დაყენებული საკითხების გადაწყვეტას.

მართლაც, ევროკავშირში შესვლისას დაფიქსირდა მოვალეობათა ჩამონათვალი, მათ შორის მესხთა საკითხთან დაკავშირებითაც. კერძოდ, საქართველო იღებდა ვალდებას:

- გაწევრიანებიდან ორი წლის განმავლობაში შეექმნა დეპორტირებული მესხი მოსახლეობის დასაბრუნებლად აუცილებელი სამართლებრივი ბაზა.

- გაწევრიანებიდან სამი წლის განმავლობაში დაეწყო რეპატრიაციის პროცესი, ხოლო გაწევრიანებიდან 12 წლის შემდეგ დაესრულებინა ის.

აი, გავიდა 10 წელზე მეტი. ამ დროის განმავლობაში იყო ბევრი შეხვედრა, განხილვა, კონსულტაცია ქვეყნის პარლამენტისა და მთავრობის, ევროსაბჭოს წარმომადგენლებთან, საქართველოს მონიტორინგის ჯგუფთან, ევროპარლამენტის სპეციალურ მომხსენებლებთან. პირადად მე დავწერე ასობით ფურცლისგან შემდგარი ტექსტები, შევადგინე ათეულობით წერილი, მიმართვა, სტატია, პრესრელიზი...

რა გვაქვს ჩვენ დღევანდელ დღეს? უფრო სწორად რა არ გვაქვს? ჩვენ, როგორც ადრე, არ გვაქვს დეპორტირებული მესხების პოლიტიკური რეაბილიტაცია, არც საკანონმდებლო ბაზა, არც მექანიზმები მათი ღირსეული დაბრუნებისთვის.

მართალია, 2007 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო „საქართველოს კანონი ყოფილი სსრკ-ის მიერ XX საუკუნის 40-იან წლებში საქართველოს სსრ-იდან იძულებით გადასახლებულ პირთა რეპატრიაციის შესახებ". სათაურიდან გამომდინარე, ეს დოკუმენტი ეხება მხოლოდ იმ პირებს, რომლებიც საქართველოდან საბჭოთა რეჟიმის დროს გაასახლეს. ამ თემას ცოტა მოგვიანებით განვაგრძობთ. ახლა ოდნავ გაეერთოთ.

ერთი მითის გაბათილება

როდესაც ისტორიული ფაქტები ისეთი არ არის, ან სულაც არ არის ისეთი, როგორიც გვსურს რომ იყვნენ, პოლიტიკოსები მიმართავენ მითებს. ეს არც ახალია და არც ჩვენს პოლიტიკოსებს მოუგონიათ. ეს პრაქტიკა დიდი ხანია, არსებობს. ქვემოთ ნახსენები მითის საავტორო უფლებები კი ჩვენს პარლამენტარებს ეკუთვნის. ჯერ კიდევ საბჭოთა დროიდან მოდის და დიდი წარმატებით ახლანდელ დროშიც ცოცხლობს. ასე, რომ არსებობს ცხოველი მითი იმის შესახებ, რომ მესხების გასახლება მოხდა საქართველოს სსრ-ის ხელისუფლების გარეშე, რომ ამის შესახებ მათ გაიგეს მხოლოდ ბოლო მომენტში, რომ მათ ხურდათ შეწინააღმდეგებოდნენ ამას, მაგრამ ვერ შეძლეს.

ამავე დროს არქივში შენახულია ბევრი საინტერესო დოკუმენტი. მაგალითად, საქართველოს ცენტრალური კომიტეტის მდივნის კ. ჩარკვიანისა და საქართველოს სსრ-ის საბჭოთა სახალხო კომისარიატის თავმჯდომარის ბაქრაძის წერილი ლ. ბერიას სახელზე გრიფით „საიდუმლო", დათარიღებული - 5.05.1944. № 1500. კერძოდ, ასეთი წერს: „განსახილველად წარმოგიდგენთ ჩვენს მოსაზრებას საქართველოს სასაზღვრო რაიონებიდან შიდა რაიონებში მოსახლეობის გადასახლების შესახებ... მოსახლეობის აღრიცხვის მონაცემებიდან გამომდინარე 1944 წლის 1 იანვარს გადასახლებას ექვემდებარება: ახალციხის რაიონიდან – 4200 მეურნეობა, 23 000 მოსახლით, „ადიგენიდან" 5 650 – 30 000; ასპინძიდან 4220 -21 000; ახალქალაქი 790 - 35000 – სულ: 14 860 მეურნეობა 77 500 მოსახლით...".

ხოლო შემდგომ, როდესაც მათ ხემოდან მიიღეს თანხმობა და შეთ-

ავაზება, რომ გადაესახლებინათ არა საქართველოს შიდა რაიონებში, არამედ საერთოდ ქვეყნის გარეთ, ისინი 3. 06. 1944 (№1805) წელს იმავე ბერიას წერდნენ მეორე წერილს, რომელსაც ხელს აწერენ იგივენი და ასევე ა. რაფავა – საქართველოს სსრ-ის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი. მასში ნათქვამია: „I. რადგანაც სპეცკონტიგენტის გადასახლება ხდება საქართველოს გარეთ, აუცილებლად მივიჩნევთ გადასახლდნენ ასევე:

ა) ჭურთები ახალციხის, ადიგენის და ასპინძის რაიონებიდან 1030 მეურნეობა და თურქები ბოგდანოვკის რაიონიდან 250 მეურნეობა.

ბ) ჭურთები და ქემშილები, რომლებიც ცხოვრობენ აჭარის საბჭოთა ავტონომიურ რესპუბლიკაში და გაურბიან კოლმეურნეობის წევრობას, აძოვებენ საქონელს სასაზღვრო რაიონებში და ამავდროულად არიან ჯაშუშების ხელშემწყობები. ასე, რომ სპეცგადასახლებას დაექემდებარებული კონტინგენტი დაახლოებით შეადგენს: ..." შემდეგ არის აჭარის ხუთი რაიონის ჩამონათვალი, მეურნეობები და ხალხის რაოდენობა, რომლებიც ექვემდებარებიან გადასახლებას და სამოლოო ფრაზა: „სულ 16 630 მეურნეობა 86 000 სული მოსახლით". აქ, რა თქმა უნდა, არ არის გათვალისწინებული ზრდასრული მამაკაცები, რომლებიც მეორე მსოფლიო ომის დროს ფრონტზე იმყოფებოდნენ.

მოტანილი ამონარიდიდან ცხადი ხდება, რომ საქართველოს სსრ-ს მთავრობამ მშვენივრად იცოდა მოსახლეობის მოსალოდნელი გადასახლების შესახებ. მეტიც, ამის ინიციატორები ისინი იყვნენ.

ჩვენს კანონმდებლებს განსაკუთრებული ლოგიკა აქვთ

ახლა ვნახოთ, რა გამოდის.

ერთი მხრივ, პარლამენტში მსხდომთა უმრავლესობა 1944 წლის დეპორტაციის შესახებ ბეჯითად იმეორებდა და იმეორებს, რომ ეს გადასახლება კრემლმა, მოსკოვმა, სტალინმა, სსრკ-მ ჩაიდინა და რომ ახლანდელი დამოუკიდებელი საქართველო ამაზე პასუხს არ აგებს. რატომ მივიღეთ ჩვენ (ქართულმა სახელმწიფომ) კანონი იმ ადამიანთა რეპატრიაციის შესახებ, რომლებიც გავასახლეთ არა ჩვენ, არამედ საბჭოთა ხელისუფლებამ?

მეორე მხრივ, დამოუკიდებელი საქართველოს დროს 1991 წლის მაისიდან 1992 წლის შუამდე საქართველოს სხვადასხვა რაიონიდან გააძევეს სხვადასხვა ეროვნული უმცირესობის ათასობით წარმომადგენელი. ასევე 200 ოჯახზე მეტი მესხი რეპატრიანტი.

შეგახსენებთ, რომ 15. 10. 1991 წელს დამოუკიდებელი საქართველო შეუერთდა ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციას და ჰელსინკის დასკვნით აქტს. შეუერთდა და გააგრძელა დეპორტაცია. ვინ არის პასუხისმგებელი ამ დეპორტაციაზე, რომელი სახელმწიფო?

აშკარაა, რომ ამაში ვერ დავადანაშაულებთ ვერც მოსკოვს, ვერც ჩინგიზ-ხანს... რატომ არ გვინდა ავიღოთ პასუხისმგებლობა ჩვენს ქმედებებზე, რატომ არ მივიღეთ კანონი უმცირესობათა შესახებ და მესხებზე,

რომლებიც გაძევებულ იქნენ, ან აიძულეს, დაეტოვებინათ ქვეყანა უკვე დამოუკიდებელი საქართველოს დროს. და ამავდროულად, მიეღოთ კანონი მათ რეპატრიაციაზე, ვინც გაასახლა საბჭოთა რეჟიმმა. ამ საკითხებზე საჭიროა დაფიქრება. თუ ამ კითხვებზე პასუხს ვიპოვით, მაშინ ჩვენი ქვეყნის სხვა პრობლემების გადაწყვეტასაც შევძლებთ. სამართლიანობის აღდგენა? აქ მსგავსი არაფერია. უბრალოდ ევროსაბჭოს წინაშე არსებული ვალდებულებები ეხება მხოლოდ სსრკ-ს დროს გადასახლებულ მესხებს. მაშ, ვნახოთ რამდენად სრულდება ეს ვალდებულება.

რეპატრიაციის შესახებ კანონმა დიდხანს სიცოცხლე ბრძანა

ჩვენთან ახლა დაკრძალვაა. ჩვენ ვმარხავთ კანონს. ჩვენ მსგავსი შემთხვევები გვახსოვს. სწორედ რომ მსგავსი, რადგანაც ის კანონპროექტები იყო. ჩვენ უკვე დავმარხეთ მესხების რეპატრიაციის შესახებ ორი კანონპროექტი. ორივე ნაადრევად გარდაიცვალა. ვერ მიიღეს საგზური ევროპის საბჭოდან. საწყლები, ვერც კი მოხვდნენ ჩვენი პარლამენტარების მაგიდაზე.

მაგრამ დღევანდელი შემთხვევა განსაკუთრებულია. დოკუმენტმა, ჯერ კიდევ კანონპროექტობის ასაკში სხვადასხვა ეშმაკობის გზით მიიღო სასიცოცხლო საგზური კანონპროექტების სახით ევროპის საბჭოს მთავარი ჩინოვნიკისგან ან მან, უბრალოდ, თვალი ჩაუკრა თვალთმაქცს. ასე იყო თუ ისე, თვალთმაქცმა მოახერხა ეს კანონპროექტი ჩვენი პარლამენტარების მაგიდაზე მოხვედრილიყო. მეტიც, ამ უკანასკნელებმა ის კანონის რანგში აიყვანეს. ისიც ამაყობდა თავისი წარმატებით. მთელს მსოფლიოში ხომ ათეულ ათასობით კანონპროექტი მზადდება და მხოლოდ მცირედთა ხვედრია კანონად ქცევა.

მაგრამ ჩვენს გმირს აშკარად არ გაუმართლა.

შეხედეთ, ყველა კანონი, როგორც კანონი, ხანგრძლივად ცოცხლობს. ზოგიერთი ძალიან ხანგრძლივადაც კი. სახელმწიფოები კვდებიან, კანონები კი სიცოცხლეს აგრძელებენ. ისეთი სახელმწიფო, როგორიც იყო სსრკ, მოკვდა, ხოლო იმდროინდელი ზოგიერთი კანონი დღესაც აგრძელებს სიცოცხლეს ყოფილი სსრკ-ს სხვადასხვა რესპუბლიკაში. როგორც არ უნდა იყოს, ჩვენი გმირი მოკლე ვადით გაჩინეს. მართალია, რეანიმაციის განყოფილებში ორჯერ მოხერხდა მისი სიცოცხლის გახანგრძლივება – ორივეჯერ ნახევარ-ნახევარი წლით, მაგრამ ლეტალური დასასრული გარდაუვალი იყო. და აი, საცოდავი ახლა საფლავის ქვის ქვეშ განისვენებს.

რას წარმოადგენდა ჩვენი გმირი – "საქართველოს კანონი ყოფილი სსრკ-ის მიერ XX საუკუნის 40-იან წლებში საქართველოს სსრ-იდან იძულებით გადასახლებულ პირთა რეპატრიაციის შესახებ", სიცოცხლეში? „საქართველოს პარლამენტმა იგი 11.07.2007 წელს მიიღო.

დოკუმენტის შინაარსი არ შეესაბამება მის სათაურს. უფრო სწორად, ეს კანონი არის არარეპატრიაციის შესახებ. და, აი რატომ: ჯერ ერთი, საჭიროა კანონი რეაბილიტაციის შესახებ. უკიდურეს შემთხვევაში, დე-

კლარაცია მაინც. უნდა გამოცხადებულიყო, რომ დეპორტირებული მესხები დამნაშავეები კი არა, მსხვერპლნი არიან და რომ დამნაშავეები 1944 წლის საქართველოს სსრ-სა და სსრკ-ს მთავრობებია. შემდეგ კი ყველაფერი დანარჩენი. მეორეც, ნორმალური, ღირსეული რეპატრიაცია უნდა იყოს განცხადებითი და არა ნებართვითი. ანუ ადამიანი აცხადებს, რომ არის დეპორტირებული პირი, ან მისი შთამომავალი, და სახელმწიფო უზრუნველყოფს მის ღირსეულ დაბრუნებას. ამის მაგივრად მსხვერპლს აიძულებენ, დაამტკიცოს საკუთარი უდანაშაულობა. ხოლო ღირსეულ დაბრუნებაზე ლაპარაკიც არ არის.

სხვათა შორის სახელმწიფომ არც ინება პოტენციურ რეპატრიანტებამდე დაეყვანა მათთვის მიღებული კანონი. ამიტომ დეპორტირებულთა უმრავლესობამ ვერც კი შეიტყო მისი არსებობის შესახებ. ყველაფერი, რასაც ახლა ვწერ - მე არ მომიგონია. მე მივყვები, პასუხი ვაგო ჩემს თითოეულ სიტყვაზე. იმაზე საშინელი, რაც მესხებისთვის კანონმდებელმა გამოიგონა, ძნელი წარმოსადგენია. მე მხოლოდ მოკლედ და გასაგებ ენაზე გადმოვცემ იმას, რაც კანონშია დაწერილი. ზოგიერთი მისი მუხლის მაგალითზე ვაჩვენებ, რომ ეს კანონი არის არა რეპატრიაციისთვის, არამედ მის საწინააღმდეგოდ.

პოტენციური რეპატრიანტების ფილტრაცია

იმისთვის, რომ მაქსიმალურად შეეფერხებინათ რეპატრიაცია, კანონში ჩადებულია ფილტრების მთელი კასკადი. აი რამდენიმე მათგანი:

ფილტრი 1. კანონში განსაზღვრულია, კონკრეტულად ვის აქვს უფლება, შემოიტანოს განაცხადი რეპატრიაციაზე. მესამე მუხლიდან გამომდინარეობს შემდეგი: ვთქვათ მესხი, რომელსაც აქვს განაცხადის უფლება, გარდაიცვალა, ან არ უნდა მისი შეტანა. ამ შემთხვევაში მისი მეუღლე და შვილები ავტომატურად კარგავენ განაცხადის შეტანის უფლებას იმისთვის, რომ გახდნენ რეპატრიანტები.

ფილტრი 2. რას აკეთებს ნორმალური სახელმწიფო, როცა სურს, განახორციელოს ნორმალური რეპატრიაცია? ის პოტენციური რეპატრიანტების კომპაქტურად განსახლების ადგილებში ხსნის თავისი წარმომადგენლობების დროებით ოფისებს, ან ქმნის მოძრავ ოფისებს. სწორედ ეს ოფისები არიან დაკავებულები რეპატრიანტებისგან სახელმწიფოსთვის საჭირო დოკუმენტების შეგროვებით.

ამგვარი ოფისების თანამშრომლები ფოტოებს უღებენ ადამიანებს, იღებენ სხვადასხვა საბუთების ასლებს, ამოწმებენ საჭირო დოკუმენტებს. თუ სახელმწიფოს კიდევ სხვა რომელიმე დოკუმენტი სჭირდება სხვა ქვეყნიდან, მათ ის მოიპოვებს თავისი დიპლომატიური არხებით. ამის მაგივრად წინამდებარე კანონი ითხოვს, რომ მესხმა თვითონ შეაგროვოს დოკუმენტები და ჩააბაროს საქართველოს წარმომადგენლობაში იმ ქვეყანაში, სადაც ის ცხოვრობს (მუხლი 4.1. ა) მაგალითად, თუ ის ცხოვრობს ვლადიკავკაზში (200 კმ. თბილისიდან), ის დოკუმენტების შესატანად უნდა ჩავიდეს მოსკოვში, საქართველოს წარმომადგენლობა-

ში. ხოლო თუ ცხოვრობს აზერბაიჯანში, ყაზახის რეგიონში (100 კმ. თბილისიდან), მაშინ დოკუმენტების წარსადგენად უნდა წავიდეს მხოლოდ ბაქოში, საქართველოს წარმომადგენლობაში. ხოლო თბილისში სამინისტროში, მის დოკუმენტებს უბრალოდ, არ მიიღებენ.

ფილტრი 3. თვით განაცხადი, უფრო ზუსტად „ანკეტა პირებისთვის, რომლებსაც სურთ რეპატრიაციის სტატუსის მინიჭება“, უშველებელი, აღსაქმელად ურთულესი დოკუმენტი, შეიცავს 33 პუნქტს, რომელთა უმრავლესობა შედგება თავისი ქვეპუნქტებისგან. ამავდროულად ყველა გრაფის შევსება აუცილებელია და არ არსებობს არანაირი ინსტრუქცია ან ნიმუში მისი შევსებისთვის. თანაც მთელი ანკეტა უნდა იყოს ნათარგმნი ორი ენიდან ერთ-ერთზე - ან ქართულად, ან ინგლისურად, რაც მესხების უმრავლესობას ხელთ არ ეწიფება ...

ფილტი 4. რა სურს პოტენციურ რეპატრიანტს? მას სურს, დაბრუნდეს საქართველოში. მას საქართველოს ხაზღვრის გადმოსალახავად არ სჭირდება არანაირი დოკუმენტი პასპორტის გარდა. ყველა დოკუმენტი, ჩამოთვლილი 4.2 პუნქტში სჭირდება სახელმწიფოს. მესხს აიძულებენ, იპოვოს ათობით სხვადასხვა დოკუმენტი. მათ შორის ისეთებიც, რომლებიც სულაც არ არის საჭირო. მაგრამ მოითხოვენ ისეთ დოკუმენტებსაც, რომელთა წარდგენა მესხისთვის რთულია, ან სრულიად შეუძლებელია.

ფილტრი 5. დეპორტაციის დროს სსრკ-ს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი არანაირ დოკუმენტს არ გასცემდა იმის თაობაზე, რომ ესა თუ ის ადამიანი ამა თუ იმ მიზეზის გამო გადასახლებულია. მაგრამ მუხლი 4.2.ა. ითხოვს დეპორტირებულისგან სწორედ ამას - „დოკუმეტი, რომელიც ადასტურებს იძულებითი გადასახლების ფაქტს“. დარწმუნებული ვარ, კანონმდებლებმა თვითონ არ იციან, სად უნდა აიღონ ამგვარი დოკუმენტი.

ფილტრი 6. მაშინაც კი, თუ რომელიმე მესხი შეძლებს შეუძლებლის წარდგენას, მოიპოვებს ყველა დოკუმენტს, მაშინ მუხლი 7. 1 მას ეუბნება: „საქართველოს მთავრობას აქვს უფლება, დააწესოს დამატებითი მოთხოვნები...“.

ფილტრი 7. კანონში საუბარია „გასაუბრების პროცედურის“ მიმდინარეობაზე ან „ტესტირებაზე“ (მუხლი 7. 2). ხხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ის, ვინც შეადგინა ყველა დოკუმენტი და შეასრულა „დამატებითი მოთხოვნები“, შეუძლიათ „ჩაჭრან“ გასაუბრებაზე თუ ტესტირებაზე. სხვაგვარად რა საჭიროა ასეთი რამეების მითითება კანონში.

ფილტრი 8. „კანონში“ ჩაწერილია, რომ „უპირატესობა ენიჭება ქართული ენის ცოდნას“ (მუხლი 7.3). თქვენ უკვე მიხვდით, რაზეა საუბარი?

შემაფერხებელი ბარიერები

შესაძლო რეპატრიაციის წინაშე შიში იმდენად დიდია, რომ კანონმდებელი მხოლოდ ფილტრებით არ შემოიისაზღვრა. რეპატრიაციის არდაშვების მეტი გარანტიისთვის კანონით გათვალისწინებულია ორი ძლიერი წინაღობა.

ბარიერი 1. ეს არის დოკუმენტების ჩაბარების თარიღი. რას აკეთებს სახელმწიფო, როცა ის დაინტერესებულია რეპატრიანტების ნაკადით? როგორც მინიმუმი, ის არ აწესებს არანაირ შეზღუდვებს დროში. ავიღოთ სახელმწიფო ისრაელი, რომელიც დაინტერესებულია რეპატრიანტებით. „დაბრუნების შესახებ კანონი“ ისრაელმა მიიღო 1950 წლის 5 ივლისს. ის დღემდე მოქმედებს და შემდგომშიც იმოქმედებს. მე ალარაფერს ვამბობ რეპატრიანტებისთვის ძალიან ხელმისაწვდომ პროცედურაზე. იმაზე, რომ ის პრაქტიკულად ისრაელში ჩასვლისთანავე აეროპორტში იღებს ისრაელის მოქალაქეობას...

ახლა ავიღოთ საქართველოს ამჟამინდელი სახელმწიფო, რომელიც არ არის დაინტერესებული რეპატრიანტებით. საბუთების მიღება განხორციელდა მხოლოდ ორი წლის განმავლობაში, 2008 წლის პირველი იანვრიდან 2009 წლის 31 დეკემბრამდე. კანონმდებელმა დააწესა პირობა, რომ ერთი ადამიანი, ორი წლის განმავლობაში მხოლოდ საკუთარ რესურსებზე გათვლით გაამზადებს ათზე მეტ სხვადასხვა დოკუმენტს (მათ შორის არარსებულებსაც). თანაც ზოგიერთი დოკუმენტის ასაღებად მესხი იძულებულია გაემგზავროს სხვა ქვეყანაში.

შევნიშვათ, რომ იმავე კანონმდებელს, რომელიც განაგებს კადრებს, არქივს, ბიუჯეტს და სხვა სახელმწიფო რესურსებს, დასჭირდა მთელი რვა წელიწადი (ევროპის საბჭოში გაწევრიანების შემდეგ), რომ თავის კაბინეტში მჯდომს შეედგინა მხოლოდ ერთი, სამყურცლიანი დოკუმენტი. ამ დოკუმენტის ხარისხს ჩვენ თქვენთან ერთად ამჟამად განვიხილავთ.

ახლა შევეცადოთ წარმოვიდგინოთ არარეალური სიტუაცია. დავუშვათ, რომ მესხს არ დაუკარგავს ცხოვრებაში არცერთი პირადი დოკუმენტი. დავუშვათ, მას აქვს ბევრი დრო და ფული, გაემგზავრა და მოიძია დანარჩენი დოკუმენტები. დავუშვათ, მშვენივრად ფლობს ქართულსა და ინლისურს. დავუშვათ მან შეძლო და დროის მანქანა შექმნა. გაემგზავრა 1944 წელში და მიიღო – ლავრენტი ბერიასგან დოკუმენტი, „დამადასტურებელი იძულებითი გადასახლების“ შესახებ. და ფანტასტიკა! – მან გადალახა ყველა 8 ფილტრი და ბარიერი 1. მან ყველაფერი სწორედ და დროულად გააკეთა, და საფუძვლიანად ელის ნანატრ რეპატრიანტის სტატუსს. მაგრამ მას მიზეზების ახსნის გარეშე აცნობინებენ, რომ რეპატრიანტის სტატუსზე უარს ეუბნებიან. როგორ უნდა მოიქცეს მესხი ამგვარ სიტუაციაში? სწორია. ან უნდა გაასაჩივროს გადაწყვეტილება. მაგრამ როგორც ჩანს, კანონმდებელმა გაითვალისწინა თვით ამგვარი სიტუაციაც. ამ დროს მესხს გზაზე ბარიერი 2 ელობება.

ბარიერი 2 „კანონის“ 8.3. მუხლში წერია: „ რეპატრიატის სტატუსის მინიჭების ან უარის შესახებ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებზე არ ვრცელდება საქართველოს ადმინისტრაციული კოდექსის 177 და მე-3 ნაწილის 178 მუხლების მოქმედება.“ ვერ გაიგეთ? გთხოვთ, წაიკითხეთ კიდევ ერთხელ. კიდევ ვერ გაიგეთ? მეც ვერ გავერკვიე თავიდან. იმიტომ

რომ კანონმდებელმა აქ სპეციალურად შეინიღბა ყველაფერი, გადაფარა მზაკვრული შინაარსი ბუნდოვანი ფრაზით. უბრალო ენაზე ეს ზედმიწევნით ნიშნავს შემდეგს: ჩვენი ძმა მეხი რეპატრიაციის სტატუსსზე უარის გასაჩივრებას ვერ შეძლებს. არც ზემოჩამოთვლილ ადმინისტარციულ ინსტანციებში და არც სასამართლოში. არსად!

დავარღვიოთ, რომ შევასრულოთ? საქართველოს ხელმძღვანელებს ეს, როგორც ჩანს, გამოუვიდათ.

უნდა აღინიშნოს, რომ რეპატრიაციის წინა ორი კანონპროექტი არ გავიდა იმიტომაც, რომ შემუშავებული იყო საქართველოში მოღვაწე მეხების ორგანიზაციების გარეშე. მესამის შემუშავებისას კი, რომელიც კანონად იქცა, გამოხცადებული იყო, რომ ეს ხდება ორგანიზაცია "ვათანის" მონაწილეობით და თანამშრომლობით, რომელიც საქართველოში არ ფუნქციონირებდა. გამოდის, რომ ან "ვათანი" არის ჩვენი მთავრობის ჯიბის ორგანიზაცია და არ იზიარებს მეხების ინტერესებს, ან ამგვარი თანამშრომლობის განცხადება იყო აშკარა ტყუილი. კანონის მიღების წინადღესვე "ნაციონალური მოძრაობის" ერთ-ერთმა ლიდერმა გიგა ბოკერიამ სიტყვასიტყვით განაცხადა შემდეგი: "ჩვენ თავზე არ ავიღებთ არანაირ ვალდებულებას, ჩვენ გავაკეთებთ იმას რაც შედის ჩვენს ინტერესებში.." (წყარო: http://www.caucasusjournalists.net/item.asp?id=175). შედეგად, ეს კანონი მიღებულ იქნა ადამიანის უფლებათა დაცვის მთელი რიგი საერთაშორისო ნორმების დარღვევით. ისეთების როგორიცაა:

- ზოგადი დეკლარაცია ადამიანის უფლებათა დაცვის შესახებ.
- საბოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო აქტი.
- საერთაშორისო კონვენცია ყველა ფორმის რასობრივი დისკრიმინაციის ლიკვიდაციის შესახებ.

დამატებით ის არღვევს საქართველოს კონსტიტუციას, რომელშიც წერია, რომ ყველა ადამიანს აქვს უფლება, მიმართოს სასამართლოს თავისი უფლებების და თავისუფლებების დასაცავად (გვ.14).

გავიხსენოთ, რომ ეს „კანონი" თითქოს მიღებულ იქნა ევროსაბჭოს წინაშე არსებული ვალდებულებების შესასრულებლად. გავიხსენოთ ისიც, რომ ევროსაბჭო არის ორგანიზაცია, რომლის საფუძველიც ევროპიულ სივრცეში ადამიანის უფლებათა დაცვაა, ამიტომ ევროსაბჭოს კანონთა მიხედვით ადამიანს უფლება აქვს გაასაჩივროს მთავრობის ნებისმიერი გადაწყვეტილება, არა მარტო ქვეყნის შიდა ინსტანციებში, არამედ ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულ სასამართლოში. მას ასევე უწოდებენ „სტრასბურგის" სასამართლოს, რადგან ის მდებარეობს ამავე სახელის ქალაქში და განთავსებულია ევროსაბჭოს შენობასთან ახლოს. არსებობს ცნობილი ოქმი 14, რომლის რატიფიცირებაც, სხვათა შორის, საქართველომაც მოახდინა. ამგვარად, საქართველოს მთავრობას საშუალება მიეცა, დაერღვია ევროსაბჭოს მთავარი პრინციპები და იმავე ევროსაბჭოს წინაშე ეს წარმოედგინა, როგორც ვალდებულებათა შეს-

რულება. ამ ეტაპზე მათ ეს გამოუვიდათ.

ვინ რა მიიღო მემკვიდრეობად ამ გარდაცვლილი „კანონისგან"?

მეხები, გარკვეულწილად თვითშთაგონების მსხვერპლნი გახდნენ. მრავალი წლის განმავლობაში ისინი თავიანთ თავს შთააგონებდნენ, რომ მათ სჭირდებათ კანონი. ისინი არაფერს მოიმოქმედებდნენ, გარდა კანონთან დაკავშირებული თხოვნისა, მიმართვებისა და მოთხოვნისა. დიახ, მეხების შესახებ გამოთქვამენ ცეცხლოვან ფრაზებს. დიახ, მათ შესახებ წერენ ლამაზ და ზოგჯერ ძალზე მართალ ფურცლებს. ამ ფურცლებს ხმაურიან სახელებს არქმევენ: ბრძანებას, დადგენილებას, რეკომენდაციას, რეზოლუციას და კანონსაც კი. მაგრამ უკანასკნელის მიღებისას აღმოჩნდა, რომ მათ არ შეუძლიათ თავიანთ სასარგებლოდ მისი გამოვენება.

2009 წლის ბოლოს 3500-ზე მეტმა დეპორტირებულმა მეხმა განცხადება შეიტანა რეპატრიანტის სტატუსის მისაღებად. ახლა მათ განიხილავენ. აქ ყველაფერი ჩინოვნიკებზეა დამოკიდებული და განმცხადებლების აქვთ დიდი შანსი, რომ მიიღონ რეპატრიანტის სტატუსზე უარი. ამ ადამიანებმა დაკარგეს დრო, ძალა, დარჩენილი ფული, რათა თუ გაუმართლებდათ, მიეღოთ რეპატრიანტის სტატუსი. თუ საჭირო გახდა, გაიარონ ტესტირება ან გასაუბრება, რომლებზეც საუბარია „კანონში", ნუთუ მთავრობის წარმომადგენლები მივლენ მათთან? რა თქმა უნდა, არა. 2010 წლის საქართველოს ბიუჯეტში რეპატრიაციისთვის არანაირი თანხები არაა გათვალისწინებული და ის არც განიხილება. ეს ნიშნავს იმას, რომ მეხს დასჭირდება საკუთარი ფულით სადმე სხვაგან წასვლა. ან რას მისცემს მათ რეპატრიანტის სტატუსი? არც ფინანსური დახმარება, არც უძრავი ქონება და მეურნეობა, არც მოქალაქეობა. საერთოდ არაფერი. ფულსაც კი გადაადგილებისთვის არავინ მისცემს. ასეთია კანონი. ასე, რომ მეხებმა პრაქტიკულად არაფერი არ მიიღეს, გარდა ადამიანური ღირსების შელახვისა. იქნებ ევროსაბჭომ მიიღო რამე? დიახ, მიიღო. კიდევ ერთი წევრი შეუსრულებელი ვალდებულებით.

მაშინ ალბათ, ჩვენმა სახელმწიფომ მიიღო ის, რაც უნდოდა, მაგრამ მე აქ სხვა შეხედულებას ვერ ვხედავ. გარდა შელახული რეპუტაციისა. ვფიქრობ, არც ერთი მოქალაქე არ ისურვებდა საკუთარი სახელმწიფოსთვის ამგვარ რეპუტაციას. არსებობს თუ არა რაიმე გამოსავალი არსებული სიტუაციიდან? დიახ, რა თქმა უნდა, მაგრამ მხოლოდ პოლიტიკური ნების არსებობის შემთხვევაში. კონკრეტულად რისი გაკეთებაც შეიძლება, ამის შესახებ ჟურნალის მომდევნო ნომერში მოგითხრობთ.

სახელმწიფოთა ბოდიში. გამოჩნდება, თუ არა საქართველო ამ სიაში?

არსებობს მონანიება პირადი და არსებობს პოლიტიკური მონანიება. სახელმწიფოს მიბოდიშების ფორმით ძველი ან ახალი ხელისუფლების წარმომადგენელთა მიერ საკუთარი (ან სხვა ხალხების) მიმართ ჩადენილი შეცდომების, ცოდვების და დანაშაულობების გამო. ვსაუბრობთ

სწორედ ზნეობრივ მონანიებაზე. კაცობრიობის თანამედროვე ისტორია იცნობს ასეთ საჯარო მონანიებებს. აი, მხოლოდ ზოგიერთი ფაქტი:

1998. აშშ-ს მოქალაქეთა უფლებების აქტში ამერიკელი ხალხის სახელით მოხდილია ბოდიში მეორე მსოფლიო ომის დროს იაპონური წარმოშობის ამერიკელი მოქალაქეების გადასახლების გამო.

1998. ვატიკანმა ბოდიში მოიხადა იმის გამო, რომ მეორე მსოფლიო ომის დროს არაფერი მოიმოქმედა ებრაელთა დასაცავად. არც ისე დიდი ხნის წინ გარდაცვლილმა ვატიკანის ხელმძღვანელმა რომის პაპმა იოანე პაველ მეორემ ამასთან დაკავშირებით თქვა: „ეს მეტია, ვიდრე ბოდიში. ეს მონანიებაა ... ეკლესიის წევრები თანამონაწილენი ვართ მისი შვილების ყველა ცოდვისა და კეთილი საქმეებისა."

1998. კანადის მთავრობამ ქვეყნის მთელი მკვიდრი მოსახლეობის მიმართ დიდი სინანული გამოთქვა წარსულში ჩადენილი ქმედებების გამო.

1996. ჩეხეთის რესპუბლიკამ ბოდიში მოიხადა 1945-46 წლებში „სუდეტელი გერმანელების" გასახლების გამო.

12. 07. 1970. გერმანიის კანცლერი ვილი ბრანდტი მუხლებზე დადგა ვარშავის გეტოს მსხვერპლთა მემორიალის წინაშე და პატიება ითხოვა ნაციზმის მიერ ჩადენილი დანაშაულობების გამო. შევნიშნავთ, ომისშემდგომი გერმანია არ არის ფაშისტური გერმანია, ის სულ სხვა სახელმწიფოა. სოციალ-დემოკრატ ვილი ბრანდტს კი არც ჰიტლერთან, არც ნაციზმთან საერთო არაფერი აქვს. და მაინც, ის მუხლებზე დაეცა. ბევრი გერმანელი ფიქრობს: როცა ის ვარშავის გეტოს მემორიალის მსხვერპლთა წინაშე მუხლებზე დაეცა, გერმანია ფეხზე წამოიმართა.

როდისლა გავაკეთებთ ჩვენც იგივეს?

მარატ ბარათაშვილი

უნდა დავდგეთ თუ არა ქართველები მუხლებზე სხვისი ცოდვების გამო?

მარატ ბარათაშვილის სტატიაში, რომელიც მკითხველს უცვლელად შევთავაზეთ, ჩვენთვის ბევრი რამ არის მიუღებელი. პირველ რიგში, ეს არის ავტორის ტონი. არ შეიძლება იმ ხალხს, რომელსაც სიყვარულს ეფიცები და, რომელთანაც ერთად ცხოვრებას აპირებ, ასეთი ცინიკური და პრეტენზიული ტონით ელაპარაკო. რატომ მოითხოვს ბატონი მარატი ქართველი ერისგან მუხლებზე დადგომას? იმიტომ, რომ მან საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობას წინააღმდეგობა ვერ გაუწია და თავისი ქვეყნის მაჰმადიანი მოსახლეობა ვერ დაიცვა? განა თვითონ მაჰმადიანმა მესხებმა შეძლეს შეწინააღმდეგებოდნენ საბჭოთა რეჟიმს?

გვინდა ხაზი გავუსვათ: საქმიან, ობიექტურ კრიტიკას მივესალმებით. მაგრამ, ხალხისგან, რომელთანაც ცხოვრებას აპირებ, სულ მცირე, მუხლებზე დადგომას არ უნდა მოითხოვდე. მით უმეტეს, სხვისი ცოდვების გამო.

ავტორს პოლემიკისთვის მეტად უცნაური ხერხი შეურჩევია. იგი ჯერ მიაწერს ოპონენტს მოსაზრებებს, რომლებთანაც ამ უკანასკნელს საერთო არაფერი აქვს. შემდეგ კი მიდგება და ქვას ქვაზე აღარ სტოვებს თავის მიერვე შეთხზული მოსაზრებებისგან. „არსებობს ძალზე სიცოცხლისუნარიანი მითი იმის შესახებ, რომ მესხთა გასახლება მოხდა საქართველოს სსრ ხელისუფლების ნებართვის გარეშე, რომ, თითქოს, მათ ამის შესახებ გაიგეს მხოლოდ ბოლო მომენტში, და რომ მათ უნდოდათ წინ აღდგომოდნენ ამ პროცესს, მაგრამ ვერ შეძლეს,"– წერს იგი.

სად, რომელი ქართველი ავტორის წიგნში ამოიკითხა ან რომელი პოლიტიკოსისგან მოისმინა მან ასეთი რამ? ბარათაშვილს საქართველოში ცხოვრების სამი ათეული წლის მანძილზე თავისი მშობლიური ენა წაკითხულის გაგების დონეზე მაინც რომ ესწავლა, მაშინ მაჰმადიან მესხთა პრობლემებზე გამოქვეყნებულ ქართველ მეცნიერთა შრომების გაცნობასაც მოახერხებდა და თავის მიერვე შეთხზული მითების გასაბათილებლად მოჰმობილი დოკუმენტების შესასწავლად არქივის მტვერის ყლაპვა აღარ დასჭირდებოდა. საბჭოთა ხელმძღვანელობისთვის საქართველოს მაშინდელ მესვეურთა მიერ გაგზავნილი წერილები და მოხსენებითი ბარათები მრავალ ქართველ მკვლევარს აქვს ციტირებული.

მაჰმადიანი მესხების გასახლების ოპერაციას საბჭოთა სახელმწიფოს მესვეურები დიდი ხნის განმავლობაში და საგულდაგულოდ ამზადებდნენ. ცხადია, ამას ისინი საქართველოს სსრ მაშინდელი ხელმძღვანელების ხელით აკეთებდნენ. სხვაგვარად, უბრალოდ, წარმოუდგენელიც კია. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს მთავრობა საკითხს მოსკოვიდან მიღებული დირექტივების საფუძველზე ამზადებდნენ და მოხსენებით ბარათებსაც ამიტომ აგზავნიდნენ კრემლში. სსრკ-ს ისტორიაში სულ მცირეოდენად გარკვეულმა ადამიანმაც კი იცის, რომ მსგავსი საკითხები ამ ქვეყანაში მხოლოდ ცენტრალური

ხელისუფლების დონეზე წყდებოდა. ამიტომ მაჰმადიან მესხთა გასახლების ინიციატორად საქართველოს მაშინდელ მესვეურთა გამოცვანა ან გულუბრყვილობაა, ან შეგნებული ბოროტი ტყუილი.

ის ფაქტი, რომ საქართველოს მაშინდელი ხელმძღვანელები მაჰმადიანთა გასახლების საქმის კურსში იყვნენ და აქტიურადაც მონაწილეობდნენ კრემლში ნაფიქრებული ამ ოპერაციის მომზადება-განხორციელებაში, ქართველ ხალხს არანაირ, არც ზნეობრივ და არც იურიდიულ პასუხისმგებლობას არ აკისრებს. და აქ გერმანიის კანცლერის, ან ჩეხეთის რესპუბლიკის ხელმძღვანელთა მაგალითების მოტანა სრულიად უადგილოა. ჰიტლერი ქვეყნის სათავეში გერმანელმა ხალხმა მოიყვანა. ამიტომ გერმანელი ხალხი და გერმანიის ნებისმიერი ხელისუფლება დიახაც რომ პასუხისმგებელია ნაცისტთა მიერ ჩადენილ საშინელ დანაშაულებებზე. საქართველოს კომუნისტური ხელისუფლება კი ქართველ ხალხს არ აურნენია. ის მას თავს მოახვია ოკუპანტმა სახელმწიფომ. სწორედ ამიტომ ქართველი ხალხი პასუხს არ აგებს მისი ნების გარეშე ხელისუფლებაში მოსული და კრემლის უსიტყვოდ მორჩილი ადამიანების ქმედებაზე.

გერმანიის მაგალითის საქართველოს შემთხვევისგან ამ პრინციპული განსხვავების დანახვა ობიექტურობის საშუალო ხარისხის მქონე ადამიანისთვის არც ისე ძნელი უნდა იყოს. და კიდევ, ამისთვის საჭიროა, უბრალოდ, პატივს სცემდე ქართველ ხალხს.

„რატომ მივიღეთ ჩვენ (ქართულმა სახელმწიფომ) კანონი იმ ადამიანთა რეპატრიაციის შესახებ, რომელიც გაგასახლეთ არა ჩვენ, არამედ საბჭოთა ხელისუფლებამ?“ – რიტორიკულად კითხულობს სტატიის ავტორი. იმიტომ, რომ გასახლებულები საქართველოს მოქალაქენი იყვნენ და ჩვენთვის სულ ერთი ვერ იქნება ამ ადამიანების ბედი. ჩვენ მოვალენი ვართ ვიზრუნოთ დეპორტირებული მოსახლეობის დაბრუნებაზე და ამას ჩვენი მწირი შესაძლებლობების ფარგლებში ვაკეთებთ კიდეც. დიახ, სწორედ ამიტომ მივიღეთ კანონი რეპატრიაციის შესახებ და არა იმიტომ, რომ, როგორც ამას სტატიის ავტორი ფიქრობს, ბრალი მიგვიძღვის მათ გასახლებაში.

„1991 წლის მაისიდან 1992 წლის შუა ხანებამდე საქართველოს სხვადასხვა რაიონიდან გააძევეს სხვადასხვა ეროვნული უმცირესობების ათასობით წარმომადგენელი. ასევე 200 ოჯახზე მეტი მესხი რეპატრიანტი.“ – წერს ბარათაშვილი და მიიჩნევს, რომ „ამაში ვერ დავადანაშაულებთ ვერც მოსკოვს და ვერც ხინგოს ხანს“. პირდაპირ საოცარია. ნუთუ ბატონ მარატს არაფერი სმენია საკუთარ მიწაზე დევნილად ქცეული 300 ათასზე მეტი ქართველის შესახებ? ნუთუ მას არ იცის, რომ 1991 წელს საქართველო დატოვა არა „სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლებმა“, არამედ მხოლოდ რამდენიმე ასეულმა ოსურმა ოჯახმა ბორჯომის ხეობიდან. და, რომ ეს იყო არასწორი, მაგრამ მაინც ხაპასუხო რეაქცია შიგა ქართლის ძირძველი ქართული მიწიდან ოსი სეპარატისტების მიერ გამოძევებული ათასობით ქართველის ფაქტზე?

ბორჯომის ხეობის ეთნიკური ოსების ერთი ნაწილი უკვე დაუბრუნდა თავიანთ ნაცხოვრებელ ადგილებს. საქართველო მზად არის დარჩენილი ნაწილის მიხალებადაც. დაბრუნდნენ გაძევებული მესხებიც. დღეს საქართველოს სხვადასხვა რეგიონში ორი ათასამდე მესხი ცხოვრობს. აი, აფხაზეთიდან და შიდა ქართლიდან გამოძევებული მკვიდრი მოსახლეობის – ქართველების უკან დაბრუნებაზე კი არავინ ფიქრობს. ამ მიწებს დღეს რუსი ოკუპანტის ნაქმა თელავს. ნებისმიერი ქართველი პატრიოტის უმთავრესი საკითხარი და საზრუნავი დღეს სწორედ ეს არის. ამ საკითხისადმი დამოკიდებულება ის ლაკმუსის ქაღალდია, რომელიც უტყუარად განასხვავებს სიტყვიერად დეკლარირებულ სამშობლოს სიყვარულს საქმით დამტკიცებული პატრიოტიზმიდან.

რაც შეეხება „მოსკოვისა და ხინგოს ხანის“ დადანაშაულებას საქართველოს რეგიონებიდან დევნილი მოსახლეობის პრობლემის შექმნაში: ხინგოს ხანს თავისი ცოდვებიც ეყოფა. საქართველოს დღევანდელ პრობლემებში მას არავინ ადანაშაულებს. აი, მოსკოვის დანაშაული კი აქ იმდენად აშკარაა, რომ ამას თვით კრემლიც ველარ მალავს. სწორედ მოსკოვი მფარველობს აფხაზ და ოს სეპარატისტებს, სწორედ მოსკოვმა გააღვივა შიგა კონფლიქტები საქართველოში, რასაც შედეგად ქართველების, ოსების, აფხაზების, ჩვენს ქვეყანაში მცხოვრები სხვა ხალხების ტრაგედია, მათ შორის, ნაცხოვრებელი ადგილებიდან გაძევება მოჰყვა. სწორედ მოსკოვის ხელი ურევია მაჰმადიან მესხთა ტრაგედიაში ფერღანაშიც და საქართველოშიც ... დღეს ამას ყველა ხედავს, ვისაც, რა თქმა უნდა, დანახვა სურს.

სტატიის ავტორის კრიტიკის მთავარი ობიექტი საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული რეპატრიაციის კანონია, რომელსაც იგი „არდაბრუნების კანონს“ უწოდებს. ამ კანონში მას არ მოსწონს არაფერი, თვით სახელწოდებაც კი.

ნამდვილად ვერ ვიტყვით, რომ რეპატრიაციის კანონი უნაკლოა. რა თქმა უნდა, აჯობებდა თუ ის უფრო სრულყოფილი და ყოვლის მომცველი იქნებოდა. მაგრამ გაოცებას იწვევს ბარათაშვილის პრეტენზიები კანონის მიმართ. მას სურს, რომ ქართულმა სახელმწიფომ სრული კაპიტულაცია მოახდინოს, უგულვებელყოს სახელმწიფოს უსაფრთხოების, თავისი მოქალაქეების ინტერესები, დაივიწყოს ოკუპირებული ტერიტორიები, დევნილი მოსახლეობა, გახსნას სასაზღვრები და ვისაც შემოსვლა არ დაეზარება, ყველა ქვეყანაში შემოუშვას.

თურმე, ნუ იტყვით და, არ შეიძლება რეპატრიაციის მსურველს საქართველოდან დეპორტაციის დამადასტურებელი დოკუმენტი მოვთხოვოთ. ასეთი დოკუმენტი ბუნებაში არ არსებობს, რადგან ბერიას ის დეპორტირებულებისთვის არ დაურიგებია, აცხადებს პატივცემული ოპონენტი.

ვისზეა გათვლილი ეს იაფფასიანი ტყუილი? ბარათაშვილმა არ შეიძლება არ იცოდეს, რომ საბჭოთა რეჟიმს შედგენილი ჰქონდა თითოეული გადასახლებულის სია, რომელიც დღემდე იმ ქვეყნების არქივებში

ინახება, რომლებმაც დეპორტირებულები მიიღეს. რეპატრიაციის კანონი დაბრუნების მსურველისგან ითხოვს ცნობას არქივიდან, რომ ის ნამდვილად საქართველოდან იყო გასახლებული. თუ ეს ადამიანი ცოცხალი აღარ არის ან რაღაც მიზეზით აღარ სურს დაბრუნება, მაშინ მისმა შთამომავალმა უნდა წარმოადგინოს ცნობა, რომ ის ნამდვილად საქართველოდან გასახლებული პირის შთამომავალია. არქივიდან ცნობის მიღებისთვის კი სხვა ქვეყანაში გამგზავრება საჭირო არ არის. ამის გაკეთება ფოსტის მეშვეობითაც შეიძლება.

რა არის აქ გაუგებარი, ან შეუძლებელი?

საერთოდ, რატომ არის საჭირო ასეთი ცნობის წარმოდგენა? საქართველოდან დაახლოებით 100 ათასი მაჰმადიანი მეხხი იქნა გასახლებული. დღეს არიან ადამიანები და ორგანიზაციები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ამჟამად გასახლებულთა და მათი შთამომავლების რიცხვი 500 ათასს შეადგენს. ანუ მატება ხუთჯერადია. გასაგებია, რომ მუსლიმების პოპულაციის მაღალი მაჩვენებელი ახასიათებთ, მაგრამ ჩვენს მეზობელ მუსლიმურ აზერბაიჯანში იმავე პერიოდში მოსახლეობის რაოდენობა მხოლოდ სამჯერ გაიზარდა. ეს ადამიანები და ორგანიზაციები იმასაც ამტკიცებდნენ, რომ დაბრუნების მსურველთა რაოდენობა მინიმუმ 100 ათასი კაცი მაინც იქნებოდა. ორი წლის განმავლობაში კი განცხადება რეპატრიანტის სტატუსის მიღების შესახებ მხოლოდ სამი ათას ხუთასამდე კაცმა წარმოადგინა.

იძლევა თუ არა ეს საფუძველს, დავეჭვდით, რომ ვიღაცას ძალიან უნდა ხელოვნურად გაზარდოს დაბრუნების მსურველთა რიცხვი? ისიც ხომ ცხადია, რომ ეს ვიღაც ამას ჩვენი ქვეყნის სიყვარულით არ აკეთებს? და რა, სახელმწიფომ ყურადღება არ მიაქციოს ამ საეჭვო ფაქტებს, არ იზრუნოს თავისი მოქალაქეებისა და ქვეყნის უსაფრთხოებაზე? რატომ უკვირს ბარათაშვილს, რომ ქართველი სახელმწიფო მოღვაწე, კონკრეტულად – გიგა ბოკერია აცხადებს, რომ არაფერს ისეთს არ გააკეთებს, რაც ქართული სახელმწიფოს ინტერესებს ეწინააღმდეგება? გასაკვირი სწორედ ის იქნებოდა – სახელმწიფო მოხელეს პირიქით რომ განეცხადებინა.

ბარათაშვილს არ მოსწონს, რომ რეპატრიაციის კანონი დაბრუნების მსურველებს განცხადებების წარმოდგენისთვის კონკრეტულ ვადას – ორ წელს უწესებს. მას მოჰყავს ისრაელის მაგალითი, სადაც რეპატრიანტებს 1950 წლიდან აქვთ დაბრუნების უფლება და აცხადებს, რომ საქართველოშიც ასეთივე წესი უნდა მოქმედებდეს.

შედარება ამჯერადაც წარუმატებელია. საქმე ისაა, რომ ისრაელში მხოლოდ ებრაელებს ეპატიჟებიან. მათ, ვინც საუკუნეების მანძილზე უცხო ქვეყნებში მიმოფანტულებმა შეძლეს თავისი რელიგიის, და რაც მთავარია, ეროვნული ცნობიერების შენარჩუნება. საქართველოში კი საუბარი ეროვნული კუთვნილების მიუხედავად ყველა დეპორტირებულის დაბრუნებაზეა. სამწუხაროდ, ეთნიკური მესხების დიდ უმრავლესობას დღეს არა მარტო მშობლიური ენა, სარწმუნოება და ეროვნული

ცნობიერებაც დაკარგული აქვს. ეს პრინციპული განსხვავებაა, რაც ქართული სახელმწიფოსგან მეტ სიფრთხილეს მოითხოვს.

„კანონში წერია, რომ „უპირატესობა ეძლევა ქართული ენის ცოდნას“. თქვენ უკვე გაიგეთ რასთან გვაქვს საქმე?, – კიდევ ერთ რიტორიკულ კითხვას სვამს სტატიის ავტორი. რატომ უკვირს მას, რომ საქართველოს ხელისუფლება სახელმწიფო ენის ცოდნას უპირატესობას ანიჭებს? განა თავისი თავის და ქვეყნის პატივისმცემელი ნებისმიერი ხელისუფლება ასე არ მოიქცეოდა? უფრო მეტიც, სახელმწიფო ენის ცოდნას საქართველოს მოქალაქეს კონსტიტუცია ავალდებულებს. ჩვენ კი ვითვალისწინებთ შექმნილ ვითარებას და ქართული ენის ცოდნას მხოლოდ უპირატესობას ვანიჭებთ. ნუთუ ესეც დანაშაულად უნდა ჩაგვეთვალოს?

აღარ გადავლიოთ მკითხველს. ბარათაშვილს არაფერი ქართული (პირველ რიგში ჩვენი კანონები) არ მოსწონს, ჩვენ კი მის სტატიაში არ მოგვწონს არაფერი. გამოდის, ანგარიში საჭიროა. სტატია კი იმიტომ გამოვაქვეყნეთ, რომ სამწუხაროდ, იგი რეპატრიანტთა ერთი ნაწილის განწყობილებას ასახავს.

ვიმედოვნებთ, მცირე ნაწილის.

უჩა ბლუაშვილი

ტექსტი დაიწერა 2010 წლის მაისში

ნათელ გზაზე გასვლა

გამარჯობა, პატივცემულო მკითხველებო. თქვენთან კვლავ მე ვარ, მარატ ბარათაშვილი. ამჯერად უჩა ბლუაშვილის პუბლიკაციასთან დაკავშირებით, რომელსაც ასე ჰქვია - «უნდა დავდგეთ თუ არა ქართველები მუხლებზე სხვისი ცოდვების გამო". ეს იყო გამოხმაურება «კავკაზსკი აკცენტის" 2010 წლის №1-ში გამოქვეყნებულ ჩემს სტატიაზე. მე და ბლუაშვილი ერთმანეთს არ ვიცნობთ, ზოგიერთ ღონისძიებაზე თუ შევხვედრივართ ერთმანეთს სასხვათაშორისოდ. მე მარტო ის ვიცი, რომ იგი ახალციხის არასამთავრობო ორგანიზაცია «ტოლერანტის» თანამშრომელია.

ჩემი წყენინება ძნელია, გაბრაზება კი თითქმის შეუძლებელი, და მე შემეძლო არაფრად ჩამეგდო ეს გამოხმაურება. მე დიდი ხანია გამომიმუშავდა იმუნიტეტი ამგვარ გამოთქმებსა და პუბლიკაციებზე. ცილისწამებაზე კი უბრალოდ ალერგია მაქვს. კიდევ მე იმასაც მივხვდი, რომ ადამიანები, რომელთაც ცოტა თუ იციან დეპორტირებული მესხების შესახებ, სტერეოტიპებით ხელმძღვანელობენ. არადა, საკუთარი აზრის შესაქმნელად ხომ ინფორმაციის ფლობაა საჭირო. და მე გადავწყვიტე, ვისარგებლო მოცემული შემთხვევით, რომლისთვისაც მადლობას ვუხდი გამოხმაურების ავტორს. ეს გამოიყურება როგორც პასუხი ერთ ადამიანს. სინამდვილეში კი მე ფართო აუდიტორიას ინფორმაციას ვაწვდი.

<u>საორგანიზაციო მომენტები:</u>

1. გთხოვთ, თვალწინ გედოთ ორი ტექსტი: ჩემი სტატია «რეპატრიაციის შესახებ «კანონის» დასამარება» და ბლუაშვილის სტატია «უნდა დავდგეთ თუ არა ქართველები მუხლებზე სხვისი ცოდვების გამო?»

2. ადგილის ეკონომიისთვის ჩემს სტატიას მე «ჩემს ტექსტს» ვუწოდებ, ბლუაშვილის მასალას - «გამოხმაურებას», თავად მას კი - «ავტორს».

3. ეს არ არის თავის მართლების, მოზოდიშების, პატიების ან რაიმე მსგავსის მცდელობა. როგორც ჩემს ტექსტშია ნათქვამი, «მე მივეჩვიე პასუხი ვაგო ჩემს თითოეულ სიტყვაზე».

სათქმელს შეძლებისდაგვარად მოკლედ ვიტყვი. ემოციებს გამოვტოვებ, მნიშვნელოვან მომენტებს კი გავუკეთებ კომენტა-რებს. შეიძლება, გრძლად გამომივიდეს, მაგრამ გპირდებით, რომ მოსაწყენი არ იქნება. მაშ ასე, წავედით...

ვინ არიან ეს «ჩვენ»?

მათ, ვინც ორივე მასალა წაიკითხა, ებადება კითხვა. ჩემს ტექსტთან დაკავშირებით ყველაფერი გასაგებია, მე ჩემი სახელით ვწერ, აქ ჩემი პირადი თვალსაზრისია გამოხატული. ავტორი კი ვისი სახელით წერს? თუ ვინმემ გაარკვია, გთხოვთ, ამიხსნათ. ის ხმარობს სიტყვებს *«ჩვენ», «ჩვენ მიმართ», «ჩვენთვის»*. გაუგებარია ვინ *«ჩვენ»*. გამოხმაურების ზოგ ადგილზე ისე ჩანს, თითქოს ეს *«ხალხის»* ან *«ქართველი ხალხის»* სახელით არის დაწერილი, ეს ტერმინებიც არის ნახმარი. მათი ხმარება ძალზე ფრთხილად არის საჭირო. თუ ასეა, ვინ არის ეს «ხალხი», ვისი სახელითაც არის დაწერილი ეს გამოხმაურება? საქართველოს მოსახლეობა, ყველა მცხოვრებია, თუ რაღაც კონკრეტული ნაწილი? ან იქნებ ეს მხოლოდ სამცხე-ჯავახეთის მაცხოვრებლები არიან? მაგრამ ამ შემთხვევაში რეგიონის მხოლოდ ეთნიკური ქართველები იგულისხმებიან თუ ყველა მცხოვრები? თუ მხოლოდ სრულწლოვანი მოქალაქეები? გამორიცხული არ არის, რომ ეს არასამთავრობო ორგანიზაცია «ტოლერანტის» (მცირე, თუმც კი მაინც ხალხის ნაწილი) მიერ არის დაწერილი, ხოლო ვინაიდან გამოხმაურების ქვეშ მხოლოდ ერთი ადამიანის ხელმოწერაა, ასევე გაუგებარია, თუ სხვათა რა რწმუნებულებები გააჩნია ავტორს.

ფიცების, გრძნობებისა და სიმპათიების შესახებ

«არ შეიძლება ეს ხალხს, რომელსაც სიყვარულს ეფიცები და, რომელთანაც ერთად ცხოვრებას აპირებ, ასეთი ცინიკური და პრეტენზიული ტონით ელაპარაკო», - ნათქვამია გამოხმაურებაში.

ჯერ-ერთი, მე ეჭვით ვეკიდები ნებისმიერ ფიცს. რაც შეეხება ჩემს ხალხს, მე ის უბრალოდ მიყვარს. ტერმინი «ქართველი ხალხი» ჩემთვის საქართველოს ყველა მოქალაქეს მოიცავს. და მე ჩემს ხალხთან *«ცხოვრებას კი არ ვაპირებ»*, არამედ მე მასთან ერთად **ვცხოვრობ**.

მეორეც, ავტორს *«წაკითხულის გაგების დონეზე მაინც»* (მისივე ფრაზა) რომ შეეძლოს ტექსტზე მუშაობა, გაიგებდა, რომ მე ჩემი ხალხისადმი არანაირი პრეტენზიები არ გამაჩნია. ჩემს ტექსტში არ არის არავითარი ბრალდებები ხალხის მისამართით. ჩემი ტექსტი უკეთესად უნდა წაიკითხოთ და არ არის საჭირო იმის გამოგონება და ჩემთვის მოწერა, რაც მე არ დამიწერია. იმის მტკიცება, თითქოს მე ხალხს რაღაცაში ვადანაშაულებ, ცილისწამებაა. ყველა ჩემი პრეტენზია მიმართულია ქვეყნის ხელისუფლებისადმი, სახელმწიფოსადმი და არამც და არამც ხალხისადმი. ხოლო თუ ავტორმა ჩემს ტექსტში *«ცინიკური და პრეტენზიული ტონი»* იგრძნო, ეს ხალხს არ ეხება და მით უმეტეს, არ ეხება ავტორს. ხოლო რადგან ჩემმა ტექსტმა სადღეისოდ უკვე ორ პუბლიკაციას გაუძლო, მისი ლექსიკა სავსებით ნორმატიულია. მე კი, ჩემი მხრიდან, არ ვაპირებ ავტორის მიერ ჩემი მისამართით გამოთქმულის სტილისა და ტონის შეფასებას. ამას მკითხველი გააკეთებს. ჩემთვის უფრო მნიშვნელოვანი ფაქტურა, შინაარსობრივი ნაწილია, და არა ემოციები.

«ბარათაშვილს არაფერი ქართული (პირველ რიგში ჩვენი კანონები) არ მოსწონს...» - აღშფოთებულია ავტორი. რა იცის მან ჩემი უპირატესობებისა

და სიმპათიების შესახებ? მე მათ შესახებ არაფერი დამიწერია, მასთან ურთიერთობა კი არ მქონია. ჩემს ტექსტში მე მხოლოდ ერთი კანონის შესახებ ვწერდი, რეპატრიაციის კანონის შესახებ. და, მართლაც, მე ის არ მომწონს და უფრო მეტიც. სიტყვამ მოიტანა და, ბევრი ჩვენი კანონი მე დიახაც მომწონს.

მითების, პუბლიკაციებისა და წაკითხულის გაგების შესახებ

ავტორს მიაჩნია, რომ მე თვითონვე გამოვიგონე მითი და თვითონვე ვამხელ მას. *«სად, რომელი ქართველი ავტორის წიგნში ამოიკითხა ან რომელი პოლიტიკოსისგან მოისმინა მან ასეთი რამ?»* - კითხულობს იგი. განვმარტავ. მითი არ არის საარქივო საბუთი, არც ისტორიის სახელმძღვანელოს კარი და არც სამეცნიერო დისერტაცია. ამიტომაც ამას ვერც ვერსად წაიკითხავ და ვერც ტრიბუნიდან წარმოთქმულ სიტყვაში გაიგონებ. მითი მასის შეგნებაში არსებული ილუზორული წარმოდგენებია.

ნუთუ ავტორს არ სმენია ნაირნაირი გამოგონილი ისტორიები? მაგალითად, ვიღაცამ «თავისი ყურით» გაიგონა, თითქოს მესხმა წყაროს წყალი რომ დალია, თქვა: «აი, ასე დავლვედი ქართულ სისხლსო!» ან, იმის შესახებ, რომ თითქოს ამ «თურქებმა» შეიარაღებული გამათავისუფლებელი რაზმები შექმნეს და იარაღის ძალით აპირებენ მესხეთის აღებას. ამგვარი გამონაგონების სია გრძელია. თუ ავტორს ყველა ამგვარი ისტორიის შესახებ არაფერი სმენია, მაშინ გამოდის, რომ მთელი ეს წლები ის მხოლოდ ფიზიკურად იმყოფებოდა საქართველოში, საზოგადოებრივმა პროცესებმა კი გვერდზე ჩაუარეს მას.

მესხების შემთხვევაში მითი კონკრეტული პოლიტიკური ამოცანის იარაღს წარმოადგენს. ანტიმესხური მითოლოგია, რომელიც ათწლეულების მანძილზე ინერგებოდა და ჯერაც გავრცელებულია საქართველოში, რამდენიმე ნაწილისგან შედგება. დეტალებს არ ჩავუღრმავდები, არსებობს ჩემი სპეციალური პუბლიკაცია ამ თემაზე. ეს მითოლოგია იმ მიზნით არის შექმნილი და მასობრივი შემეცნებისთვის გავრცელებული, რათა მესხების დაბრუნება შეუძლებელი გახდეს. კი, საქართველოში არსებობს ზოგიერთი მეცნიერების მართალი პუბლიკაციები. მაგრამ იშვიათი სპეციალისტების გარდა, ამას ცოტა თუ ვინმე კითხულობს, ხოლო ვინაიდან ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოებში დეპორტირებული მესხების შესახებ დღემდე არაფერია ნათქვამი, ადამიანთა უმრავლესობის შეხედულებები ამგვარი მითებით ყალიბდება. მათ ეფექტურობაზე მსჯელობა თუნდაც იმის მიხედვით შეიძლება, რომ ამგვარი ზომბირების მსხვერპლად არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებიც კი ხდებიან.

ჩემზე ასეა ნათქვამი: მას რომ *„თავისი მშობლიური ენა წაკითხულის გაგების დონეზე მაინც რომ ესწავლა»*, თუნდაც ის შეძლებდა გასცნობოდა... მე ვკითხულობ პრაქტიკულად ყველაფერს, რაც კი ამ თემაზე იწერება, მათ

შორის, ქართულ წყაროებსაც, და თავადაც ბევრს ვწერ და ჩემს ციტირებას ახდენენ მეცნიერები და სამართალდამცველები ავსტრალიიდან კანადამდე, საქართველოს ჩათვლით. ვაღიარებ, რომ ქართულ მეტყველებაში ისეთი მჭევრმეტყველი ვერა ვარ, როგორსაც ვისურვებდი, ხოლო ქართულ ტექსტზე ჩემი მუშაობის შესახებ შეგიძლიათ იმსჯელოთ, კერძოდ, იმ ფაქტით, რომლის შესახებაც არასამთავრობო ორგანიზაცია «ტოლერანტშიც» უნდა იცოდნენ. ჩემი ტექსტის ქართული თარგმანის მათ ბიულეტენში გამოქვეყნებამდე ვთხოვე ჩემთვის გამოეგზავნათ ის. შევამოწმე ქართული ტექსტი 4 აზრობრივი და 13 გრამატიკული შეცდომა აღმოვაჩინე და გავასწორე. და თავად განსაჯეთ, რა დონეცაა.

მსგავსი საკითხების გადაჭრის შესახებ

ავტორი ჭკუას გვასწავლის: *«სსრკ-ს ისტორიაში სულ მცირეოდენად გარკვეულმა ადამიანმაც კი იციან, რომ მსგავსი საკითხები ამ ქვეყანაში მხოლოდ ცენტრალური ხელისუფლების დონეზე წყდებოდა»*. მაგრამ საქართველოს სსრ-ს ხელისუფალნი, როცა მათ სურვილი ჰქონდათ, კეთილ საქმეებს *«ცენტრალური ხელისუფლების»* ნების წინააღმდეგაც აკეთებდნენ. თანაც სხვადასხვა სფეროებში და სხვადასხვა წლებში, სტალინის დროიდან დაწყებული, გორბაჩოვის ეპოქამდე.

ყველამ როდიიცის, როგორ გაჩნდა თბილისში მეტრო. სსრკ-ს *«ცენტრალური ხელისუფლების დონეზე»* «რკინის» წესები იყო. მეტროს მშენებლობა შეიძლებოდა მხოლოდ იმ ქალაქებში, რომელთა მოხალეობა 1 მლნ ადამიანზე მეტი იყო. თბილისში კი მეტროს მშენებლობა დაიწყეს 1952 წელს, როდესაც აქ მხოლოდ 700 ათასი ადამიანი იყო. და მარტო საქართველოში, სხვა მოკავშირე რესპუბლიკებისგან განსხვავებით, აშენებდნენ მაღალჭერიან ბინებს. ჩვენ უნდა ვიცოდეთ, როგორ მოხერხდა 1978 წელს ქართული ენის სახელმწიფო სტატუსის დაცვა, თუმცა იყო სკკპ ცკ-ის ბრძანება მისი გაუქმების შესახებ. კი, იყო ხალხის მოთხოვნა, ტარდებოდა საპროტესტო აქციები. თუმცა საქართველოს სსრ-ს ხელისუფალთა მონაწილეობის გარეშე არაფერი გამოვიდოდა. შეიძლებოდა ჩამოთვლა გაგვეგრძელებინა, მაგრამ ჩვენ სხვა რამეზე ვსაუბრობთ. ამიტომაც მოვიყვან რამდენიმე მაგალითს თემაზე.

ცნობილია, რომ 1956 წელს სპეცდასახლების რეჟიმის გაუქმების შემდეგაც კი სსრკ-ს ხელისუფლებამ მესხებს საქართველოში დასახლება აუკრძალა. ამასთან დაკავშირებით კრემლში *«ცენტრალური ხელისუფლების დონეზე»* მოწერილი მრავალრიცხოვანი დოკუმენტი არსებობს. მიუხედავად ამისა, 4. 04. 1979 მიღებული იქნა საქართველოს სსრ კპცკ-ს მინსაბჭოს დადგენილება, რომლის თანახმადაც ბევრმა მესხმა საქართველოში დაბრუნება შეძლო. და ეს *«ცენტრალური ხელისუფლების»* ნებარ-

თვის გარეშე და ნების საწინააღმდეგოდ გაკეთდა. მათ საცხოვრებლებს უშენებდნენ და მიწის ნაკვეთებს ურიგებდნენ. გაჩნდა მათი თემები დასავლეთ საქართველოს შვიდი რაიონის სოფლებში. პროექტით «ტოლერანტი» ავტორს ურთიერთობა უნდა ჰქონოდა სამტრედიის რაიონის სოფელ ახალი იანეთის მესხებთან და უნდა სცოდნოდა როდის და როგორ დასახლდნენ ისინი აქ.

მხოლოდ საქართველოს სსრ ხელისუფალთა სურვილით იყო განპირობებული ის, რომ 1984-86 წლებში ხაშურის რაიონის სოფლებში რეპატრიანტი მესხების 45 ოჯახი დასახლდა.

საქართველოს სსრ-ს ხელისუფალთა «თავნებობის» კიდევ ერთი მაგალითი. ეს არის საქართველოს სსრ-ს მინისაბჭოს 8. 12. 1987 წლის №600 დადგენილება საქართველოში მესხთა 300 ოჯახის გადმოსახლების შესახებ. სხვათა შორის, სწორედ მის შესაბამისად გადმოსახლდა საქართველოში თქვენი მონა-მორჩილი. იმედი მაქვს, გასაგებია, რომ ყველა ეს გადაწყვეტილება *«ცენტრალური ხელისუფლების დონეზე»* კი არ ყოფილა მიღებული, არამედ საქართველოს სსრ-ს იმ ხელისუფალთა მიერ, რომლებსაც ამის სურვილი ჰქონდათ და მოსკოვის ნების წინააღმდეგ.

სურვილი (პოლიტიკური ნება) დამოუკიდებლობის დროსაც საჭიროა. 9. 12. 1996 ხელი მოეწერა საქართველოს პრეზიდენტის №802 ბრძანებულე-ბას მესხებისთვის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ. გათვალისწინებული იყო რეაბილიტაციის შესახებ კანონის მიღება, მესხების დაბრუნების პროგრამის შემუშავება, მათი უფლებების აღდგენა და ა. შ. დოკუმენტი ჯერ კიდევ საქართველოს ევროპის საბჭოში შესვლამდე იქნა მიღებული, და იმ დროისთვის ჩვენს ქვეყანას ამის თაობაზე ჯერ კიდევ არანაირი საერთაშორისო ვალდებულებები არ ჰქონია. და ეს პოლიტიკური ნების გამოხატულება იყო. მაგრამ თავად ხელისუფლების შიგნით არსებული ძლიერი წინააღმდეგობის გამო ბრძანებულება არ შესრულებულა. ბრძანებულების რეალიზაციის მოწინააღმდეგეთა შორის იურიდიული საკითხების საპარლამენტო კომიტეტის მაშინდელი თავმჯდომარე მიხეილ საკაშვილიც იყო. სამწუხაროდ, საქართველოს ამჟამინდელ ხელისუფალთ ამგვარი პოლიტიკური ნება არ გააჩნიათ. ხოლო კანონი რეპატრიაციის შესახებ საკუთარი ნებით კი არ ყოფილა მიღებული, არამედ იძულებით.

როგორც ჩანს უმაღლესი ხელმძღვანელობის მემკვიდრეობა საქართველოში შეიძლება რუსეთის სცენარის მიხედვით ჩამოყალიბდეს. კრემლისეული ვარიანტის პუტინი-მედვედევი-პუტინი ანალოგიურად ჩვენთან შეიძლება შედგეს სქემა სააკაშვილი-ვინმე-სააკაშვილი და თუ ეს მოხდება, მესხები კიდევ დიდხანს ვერ დაბრუნდებიან. მათი მოწინააღმდეგეები კი შეძლებენ მშვიდად იძინონ.

გერმანიის, მოქალაქეობის და პასუხისმგებლობის შესახებ

ავტორს მიაჩნია, რომ მე უადგილო ადგილას მომყავს გერმანიის კანცლერის მაგალითი: *«ჰიტლერი ქვეყნის სათავეში გერმანელმა ხალხმა მოიყვანა. ამიტომ გერმანელი ხალხი და გერმანიის ნებისმიერი ხელისუფლება დიახაც რომ პასუხისმგებელია ნაცისტთა მიერ ჩადენილ საშინელ დანაშაულებებზე»*. ასე მიაჩნია ავტორს, ხოლო აი როგორ მიაჩნია დანარჩენ მსოფლიოს. მესამე რაიხი, ანუ ოფიციალურად გერმანიის იმპერია, რომელიც 24. 03. 1933-დან არსებობდა, როგორც სახელმწიფო 23. 05. 1945 გაუქმდა. განადგურებული იქნა ყველა სახელმწიფო ინსტიტუტი, გერმანელებს ჩამოერთვათ მმართველობის უფლება. მთელი მმართველობა მოკავშირეთა არმიების სამხედრო ადმინისტრაციების ხელთ იყო. ორი ახალი გერმანია – გფრ-ც, და გდრ-ც ხელახლა, ახალი ფურცლიდან იქმნებოდა გამარჯვებული სახელმწიფოების მიერ. ამრიგად, არც გფრ, არც გდრ, არც ამჟამინდელი გაერთიანებული გერმანია არ ყოფილან და არ არიან ჰიტლერული გერმანიის არც გამგრძელებლები და არც სამართალმემკვიდრეები. და ეს ბევრ საერთაშორისო დოკუმენტშია დაფიქსირებული.

ჩემს კითხვაზე თუ რატომ მიიღო სახელმწიფომ კანონი არა მის მიერ, არამედ საბჭოთა რეჟიმის მიერ გასახლებული ადამიანების რეპატრიაციის შესახებ, ავტორი მპასუხობს: *«იმიტომ, რომ გასახლებულები საქართველოს მოქალაქეები იყვნენ და ჩვენთვის სულ ერთი არ იქნება ამ ადამიანის ბედი"*. ნუთუ ვიღაც მართლა ფიქრობს, რომ მესხებს ჯიბეში ქართული პასპორტები უდევთ? ასე რომ ყოფილიყო, მაშინ რეაბილიტაციის მიღებაღა იქნებოდა საჭირო, რეპატრიაციის შესახებ კანონის მიღების საჭიროება კი თავისთავად მოიხსნებოდა. მაგრამ, სამწუხაროდ, საქართველოს გარეთ მყოფი მესხები ჩვენი მოქალაქეები არ არიან. მეტიც, ბევრი მათგანი აპატრიდია, ანუ მათ საერთოდ არანაირი მოქალაქეობა არა აქვთ.

ჩემს მეორე კითხვაზე კი, რატომ არ მიიღო სახელმწიფომ კანონი დამოუკიდებელი საქართველოს დროს გადასახლებული ადამიანების რეპატრიაციის შესახებ, პასუხი არ არსებობს.

გამოხმაურებაში სწორი ფრაზაც არის: *«ჩვენ მოვალენი ვართ ვიზრუნოთ დეპორტირებული მოსახლეობის დაბრუნებაზე...»* თუ «ჩვენ» არასამთავრობო ორგანიზაცია «ტოლერანტია», მაშინ სწორი ფრაზა სწორი მოქმედებებით უნდა მყარდებოდეს. სახელდობრ კი, საჭიროა უსამართლო კანონის წინააღმდეგ მიმართულ პროტესტთან შეერთება და არა იმათი მოქმედების სადავოდ გამოცხადება, ვინც ამას აკეთებს. შემდეგ ნათქვამია: *«სწორედ ამიტომ მივიღეთ კანონი რეპატრიაციის შესახებ და არა იმიტომ, რომ, როგორც ამას სტატიის ავტორი ფიქრობს, ბრალი მიგვიძღვის მათ გადასახლებაში»*. და ისევ მორიგი ცილისწამება. ჩემს ტექსტში მკაფიოდ წერია: **«...დამნაშავეები – 1944 წლის სსრკ-სა და საქართველოს სსრ-ს**

მთავრობებია». ჩემი ტექსტის ყურადღებით წაკითხვაა საჭირო და არა რაღაცების გამოგონება! და დამნაშავეები კი არ უნდა ვეძებოთ არამედ ადამიანებს მათი უფლებები უნდა აღვუდგინოთ.

ზვიადიზმის მსხვერპლთა შესახებ

ავტორი ირწმუნება, რომ *«...საქართველო დატოვა არა «სხვადასხვა ეროვნებების წარმომადგენლებმა», არამედ მხოლოდ რამდენიმე ასეულმა ოსურმა ოჯახმა ბორჯომის ხეობიდან»*. თუ შენ რამე არ იცი, ეს იმას სულაც არ ნიშნავს, რომ ეს არ მომხდარა. ყველაფერი არც მე ვიცი, თუმცა ჩემი «ბაგაჟიდან» რაღაცას მაინც გაგიზიარებთ.

ზვიად გამსახურდია უმცირესობათა მიმართ, რბილად რომ ვთქვათ, ხისტ პოლიტიკას ატარებდა და ის ამას ღიად აცხადებდა. მაგალითად, ლონდონურ გაზეთ «თაიმსისთვის» მიცემულ ინტერვიუში (6. 12. 1990), საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარედ ყოფნისას მან თქვა: «სომხები და აზერბაიჯანელები - რომლებიც ერთად საქართველოს მოსახლეობის 20 პროცენტს შეადგენენ, ქართველი ერისთვის მუქარაა. მათი უმრავლესობა მტრებია». ამგვარი გამოთქმები სხვადასხვა უმცირესობათა შესახებ მრავლად იყო, ოსებისა და აფხაზების შესახებ კი ის უფრო ხისტად ლაპარაკობდა, მისი სიტყვები კი ამ ასპარეზზე საქმეს არ სცილდებოდა.

ოსები გაასახლეს არა მარტო ბორჯომის ხეობიდან, არამედ შიდა ქართლის ზოგიერთი სოფლიდანაც, აზერბაიჯანელები _ ქვემო ქართლის რიგი სოფლებიდან. ცოტამ თუ ვინმემ იცის, რომ გამსახურდიას განკარგულებით ძალადობა იხმარეს ხუნძების მიმართ და ისინი კახეთიდან გაასახლეს. აქ 5 ათასამდე ხუნძი იყო, რომელთა წინაპრები ჯერ კიდევ ერეკლე მეორემ მოიწვია საზღვრების დასაცავად. მე არ მოვყვები ამ საშინელი მოვლენების დაწვრილებით აღწერას. დაღესტნელ სამართალ-დამცველებს ბევრი რამის მოყოლა შეუძლიათ. მე მათგან ვიცი, რომ მერე, იმისათვის, რათა ამისთვის მისაღები სახე მიეცათ, 30. 04. 1991 წ. ხელი მოეწერა შეთანხმებას დაღესტნისა და საქართველოს მთავრობებს შორის ყვარლის რაიონში მცხოვრები ხუნძების დაღესტანში ორგანიზებული გადასახლების შესახებ. საქართველომ ამასთან დაკავშირებული ხარჯების დაფინანსების ვალდებულება იკისრა. თუმცა მოგვიანებით ხარჯების კომპენსაციაზე უარი განაცხადა. გაესაუბრეთ საქართველოს ცნობილ ადამიანებს - ნაირა გელაშვილს, რეზო ჩხეიძეს, გულაბერ ანანიაშვილს, ზურაბ მამალაძეს და სხვებს, ვინც ზვიადიზმის ველურ გამოვლინებებს პირადად ებრძოდნენ. ჰკითხეთ საქართველოს უმცირესობათა ორგანიზაციებს და თქვენ ბევრ რამეს გაიგებთ უშუალოდ მათგან.

მესხი რეპატრიანტების დეპორტაცია კი უშუალოდ ჩემ თვალწინ ხდებოდა. სსრკ-ს დაშლამდე საქართველოში 2 ათასზე მეტი ასეთი ადამიანი იყო. 1992 წლის 1.01-ის მდგომარეობით კი ისინი საქართველოს მხოლოდ 4 სოფელში იყვნენ დარჩენილები, სულ 60 ოჯახი. დანარჩენები განდევნეს. ზოგი უბრალოდ გაყარეს, სხვები «ცივილიზებულად» «იკარუსებით» გაიყვანეს ზემო ლარსამდე ან წითელ ხიდამდე. გამოსახლებას გამსახურდიას პირადი მითითებით მასთან დაახლოებული პირები აწარმოებდნენ. ავტორი ამბობს, ის მესხები უკვე დაბრუნდნენო. ტყუილია, ისინი არავის უხმია და უკან არავის შემოუშვია. სურათზე ბავშვებს ხედავთ? ისინი მშობლებთან ერთად 1991 წლის ბოლომდე წულუკიძის რაიონის (ამჟამად ხონის) სოფელ ახალშენში ცხოვრობდნენ. მარტო ეს სოფელი იძულებით 62 ოჯახმა (329 ადამიანი) დატოვა. ბავშვებს ხელში წულუკიძის რაიონული მმაჩის მიერ გაცემული დაბადების მოწმობები უჭირავთ. 1993 წლამდე რომ დარჩენილიყვნენ, როცა ძალაში შევიდა კანონი მოქალაქეობის შესახებ, ისინი, ისევე, როგორც ავტორი, საქართველოს მოქალაქეობას მიიღებდნენ.

ზვიადიზმის მსხვერპლი მესხების ბავშვები საქართველოს დაბადების მოწმობით ხელში. ხერსონის ოლქის, ჩაპლინკის რაიონის, სოფელი პავლოვკა. უკრაინა. 1997 წ.

პატრიოტიზმის, გადაადგილებული პირების, სიტყვებისა და საქმეების შესახებ

ავტორი პატრიოტიზმის უქონლობას მსაყვედურობს. ამბობს, თითქოს მე თანამოქალაქეთა საფიქრალი არ მაწუხებს. აფხაზეთიდან და შიდა ქართლიდან დროებით გადაადგილებულთა მიმართ უყურადღებობაში მადანაშაულებს და ლაკმუსის ქაღალდით მემუქრება. ეთნოსთა შორის თანხმობის საკითხები ჩვენი საზოგადოების უმთავრესი ამოცანაა. ეს სტაბი-

ქართული არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები დსთ-ს ქვეყნების ლტოლვილთა და დროებით გადაადგილებულ პირთა საკითხებზე კონფერენციაზე (მარჯვნიდან მეორე მ. ბარათაშვილი). ჟენევა, ეროვნებათა სასახლის სხდომათა დარბაზი, 1999 წ.

ლურობისა და ტერიტორიული მთლიანობის ყველაზე საიმედო წინაპირობა იქნებოდა. მაგრამ ადამიანებმა, რომლებიც ჩვენ ხელისუფლებაში მოვიყვანეთ, არად ჩააგდეს ეს და ახლა ჩვენ ქვეყანაში გვყავს გადაადგილებული ადამიანები და გვაქვს ოკუპირებული მიწები, მაგრამ ავტორი თავად რომ ყოფილიყო დროებით გადაადგილებულ პირთა საკითხებით დაკავებული, ეცოდინებოდა, ის, რაც ბევრმა ახალციხელმა იცის, ეცოდინებოდა, რომ ზვიადისტებმა ცოლთან და ჩვილ ბავშვთან ერთად გამოგვყარეს ახალციხიდან და ჩვენ საქართველოში ერთ-ერთ პირველ გადაადგილებულ ოჯახად ვიქეცით. ეცოდინებოდა, რომ მე და ჩემი და, კლარა 1996 წლიდან ვართ ამ საკითხებით დაკავებულები, ჩვენ დსთ-ს ცნობილი ჟენევის კონფერენციის სათავეებთან ვიდექით. ეცოდინებოდა, რომ ჩვენ ლტოლვილებთან და დროებით გადაადგილებულ პირთა მუშაობის არასამთავრობო ორგანიზა-

ციების კავკასიის ქსელის «CRINGO»-ს დამფუძნებლები ვიყავით. მასში კი ჩრდილო და სამხრეთ კავკასიის ასამდე არასამთავრობო ორგანიზაცია შევიდა, და ჩვენ ლამაზი თვალებისთვის არ ავურჩევივართ საქართველოს 21 არასამთავრობო ორგანიზაციას ქსელის წევრებს თავის კოორდინატორებად. და მერწმუნეთ, დროებით გადაადგილებული პირებისა და ლტოლვილებისთვის უფრო მეტი გავაკეთეთ, ვიდრე მესხებისთვის.

შეგიძლიათ ნახოთ საიტი http://eventlenta.wordpress.com/. ეს ასეთი ერთადერთი ინტერნეტ-რესურსია ქართულ ენაზე. ის ახალგაზრდებისთვისაა განკუთვნილი და მათში კულტურის და ხელოვნების სიყვარულის აღზრდას ემსახურება, რაც დღეს ასე აკლია მას. და ჩვენი ოჯახი ამაყობს იმით, რომ ეს არაკომერციული პროექტი ჩვენმა შვილებმა, თეიმურაზ და თამარ ბარათაშვილებმა ჩაიფიქრეს და განახორციელეს. ყოველგვარი გრანტების გარეშე. და ეს მაშინ, როცა საუკეთესო სტუდენტთა შორის ყოფნაც არანაკლებ ძალისხმევას მოითხოვს მათგან.

თბილისში თვითმმართველობის ძალზე დემოკრატიული და ეფექტური ფორმაა დანერგილი. ქალაქის საცხოვრებელ კორპუსებში შექმნილია ამხანაგობები. მათი თავმჯდომარეები მობინადრეთა სახელით წყვეტენ საჭირბოროტო სამეურნეო საკითხებს. ჰოდა, ჩვენმა მეზობლებმა, ჩვენს კორპუსში მცხოვრებმა 72 ოჯახმა, თავმჯდომარედ ჩემი მეუღლე აირჩიეს. ლიდია ბარათაშვილმა უკვე ბევრი რამ გააკეთა ხალხისთვის და რამდენიმე წელია მობინადრეები კვლავ და კვლავ უგრძელებენ მას უფლებამოსილებას.

ლტოლვილთა და დროებით გადაადგილებულ პირთა საკითხებზე არასამთავრობო ორგანიზაციების კავკასიის ქსელის «CRINGO» დამფუძნებლები (მ. ბარათაშვილი მარცხნივ პირველ რიგში). წაღკაძორი, სომხეთი, 2002 წ.

ისეთი ხმამაღალი სიტყვების ხმარება, როგორიცაა «პატრიოტიზმი» ჩვენს ოჯახში მიღებული არ არის. უბრალოდ ჩვენ ვცხოვრობთ ისე, როგორც სწორედ მიგვაჩნია და თითოეული ჩვენგანი იმას აკეთებს ადამიანებისთვის, რაც შეუძლია, ყოველგვარი ხმამაღალი სიტყვების გარეშე. ისე, რომ ავტორს ურჩევნია შეინახოს ლაკმუსის ქაღალდი, ის მას კიდევ დასჭირდება.

«კანონის» ზოგიერთი მუხლის შესახებ

ავტორი რეპატრიაციის შესახებ კანონის ზოგიერთი მუხლების დამცველად გამოდის. ვადა გავიდა და უკვე ვეღარავინ შეიტანს განცხადებას რეპატრიანტის სტატუსთან დაკავშირებით. თუმცა ადრე თუ გვიან ნორმალური კანონი იქნება მისაღები, ამიტომაც არის ეს საკითხები მნიშვნელოვანი. კანონმდებლებმა იციან ამგვარი პრაქტიკის არსებობის შესახებ. თუ რაიმე ფაქტის დასადასტურებლად შეუძლებელი ან ძნელია შესაბამისი საბუთის წარმოდგენა, კანონში იწერება, რომ ამ საბუთის მაგივრობა შეიძლება ორი მოწმის ჩვენებებმა გასწიოს. ჩვენს კანონმდებლებს კი მესხებისთვის ასე არ გაუმარტივებიათ პროცედურა. ავტორი კი მხარს უჭერს ამას და ირწმუნება, რომ *«საქართველოდან დეპორტაციის ფაქტის დამადასტურებელი საბუთი»* არსებობს და მესხებს *«იმ ქვეყნების არქივებში ინახება, რომლებმაც დეპორტირებულები მიიღეს»*.

განვმარტავ. 1944-ში ვინაობის მიხედვით არ ასახლებდნენ, გასახლებულთა სიები არ არსებობდა. ხალხი სოფლებიდან რელიგიური პრინციპის მიხედვით მიჰყავდათ, მხოლოდ მაჰმადიანები. შინსახკომის ჯარისკაცებმა მარტო ის იცოდნენ, თუ რომელი რაიონიდან რამდენი უნდა წაეყვანათ. არც ეშელონებში ჩასხდომისას იძლეოდნენ ცნობებს, არც სიებს ადგენდნენ. ყოველ ვაგონში რუსულის მცოდნე უფროსს ნიშნავდნენ. მხოლოდ მის გვარსა და სახელს და იმას იწერდნენ, თუ რამდენი ადამიანი იყო ვაგონში. მამაჩემი თავის ვაგონში უფროსი იყო. ოფიცერმა ჟურნალში ჩაიწერა მამაჩემი და ხალხის რაოდენობა ვაგონში – 31 და ასე ხდებოდა ყოველ ვაგონში. ის სიები კი, რომლებზეც ავტორი ლაპარაკობს, სპეცდასახლებების ხელისუფალთა მიერ დგებოდა უკვე გადასახლებაში. რა თქმა უნდა, იქიდან ცნობის მიღება შეიძლება. მაგრამ ეს იქნება **სპეცდასახლებაში ყოფნის ფაქტის** დამადასტურებელი საბუთი, და არა *«საქართველოდან დეპორტაციის ფაქტის დამადასტურებელი საბუთი»*. იურისტები დაადასტურებენ, რომ ეს სხვადასხვა რამეებია.

რა თქმა უნდა, სახელმწიფოს სჭირდება მონაცემთა ასეთი ბაზა. რამდენიმე წლის წინ უზბეკეთის მთავრობამ თვითონ შესთავაზა ჩვენს მთავრობას სპეცჩასახლებულთა იმ სიების წამოღება, რომლებიც იქ შედგა და ინახება. ჩვენებს მხოლოდ ორიოდ თანამშრომელი უნდა გაეგზავნათ თანხლებისთვის, უნდა შეეკვეთათ კონტეინერი და საბუთების თბილისამდე ჩატანის

საფასური გადაეხადათ. მაგრამ მათ ეს არ გაუკეთებიათ. მაშ, ის, რისი გაკეთებაც თავად სახელმწიფომ არ მოინდომა ან ვერ შეძლო, პოტენციურმა რეპატრიანტმა რატომ უნდა გააკეთოს?

დავუშვათ, კანონი სახელდობრ **სპეცდასახლებაში ყოფნის ფაქტის** დამადასტურებელ **საბუთს** მოითხოვს. *«არქივიდან ცნობის მიღებისთვის კი სხვა ქვეყანაში გამგზავრება საჭირო არ არის. ამის გაკეთება ფოსტის მეშვეობითაც შეიძლება»*, - წერს ავტორი. დიდი ხანია, რაც მან სხვა ქვეყნის სახელმწიფო დაწესებულებიდან ფოსტით მიიღო საბუთი? ყოფილ სსრკ-ში უცხოეთის სახელმწიფო დაწესებულებათა მოთხოვნებსაც კი მაინცდამაინც მზადყოფნით არ პასუხობენ, რომ აღარაფერი ვთქვათ, კერძო პირთა მოთხოვნებზე, მაგრამ მაშინაც კი, ეს რომ რეალური ყოფილიყო, თქვენთვის ცნობილია, როგორია დღევანდელი საფოსტო ტარიფები? და ვინ უნდა იხადოს ეს? ისედაც მარტო სამედიცინო ცნობებისთვის 16, საბუთების თარგმნა და ნოტარიალური დამოწმება ოჯახს 300-700 აშშ დოლარი უჯდება, ამას-თან თავად ანკეტა 33, ქონებრივი დეკლარაცია კი 45 პუნქტისგან შედგება. საერთაშორისო წესები კი ასეთ შემთხვევებში კი იუწყება: საბუთების ჩამონათვალი გონივრული და მინიმალური უნდა იყოს, ხარჯები კი - არასამძიმო.

ავტორს არ ესმის, რატომ ვარ მე რეპატრიანტთა მიერ სახელმწიფო ენის უპირატესი ცოდნის წინააღმდეგი. *«განა თავისი თავის და ქვეყნის პატივისმცემელი ნებისმიერი ხელისუფლება ასე არ მოიქცეოდა?»* - კითხულობს ის. არა, ის სხვანაირად მოიქცეოდა. იმიტომ რომ ასეთი ხელისუფლება არადისკრიმინაციის პრინციპით იხელმძღვანელებდა, ის ერთნაირად მოეპყრობოდა მასთან ურთიერთობაში მყოფ ყველა პირს. თუმცა ეს ჩვენს ხელისუფლებას არ ეხება.

შეიძლება ეს, ვთქვათ, გერმანიამ მოსთხოვოს თავის რეპატრიანტებს, ის თავისი ფონდებისა და ინსტიტუტების ქსელის მეშვეობით ხელს უწყობს გერმანული ენის სწავლას სხვადასხვა ქვეყნებში. ასეთი გერმანული დაწესებულებები საქართველოშიც არის, მაგრამ მესხების საცხოვრებელ რომელ ადგილებში არსებობს ქართული დაწესებულებები, რათა მათ ქართული ენის სწავლა შეძლონ?

აი საქართველოს ხელისუფალთა ორიოდ გადაწყვეტილება ენასთან დაკავშირებით. საქართველოს მოქალაქეებს, რომელთაც მძღოლის უფლების მიღება სურთ, შესაბამისი ტესტების ჩაბარება შეუძლიათ რვიდან ერთ-ერთ ენაზე. ქართული ენის უპირატესობაზე აქ ლაპარაკი არ არის. ხოლო 2010 წლიდან საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში ჩასარიცხად ნაცუმცირესობათა წარმომადგენლები მხოლოდ ზოგად უნარებში აბარებენ გამოცდას. ამასთან არა სახელმწიფო, არამედ მათ მშობლიურ ენაზე (მხედველობაშია აზერბაიჯანული და სომხური), მიუხედავად იმისა, რომ

მძღოლებიც და აბიტურიენტებიც საქართველოს მოქალაქეები არიან. ისინი აქ ცხოვრობდნენ, სახელმწიფო სკოლებში სწავლობდნენ და სახელმწიფო ანაზღაურებდა მათი ქართული ენის გაკვეთილებს. ავტორის მოსაზრებით, სახელმწიფოს უფლება აქვს თავის მოქალაქეებს ენის ცოდნა მოსთხოვოს, მაგრამ აღნიშნული პირებისთვის ეს მოთხოვნა მოხსნილია, ხოლო პოტენციური რეპატრიანტები მოქალაქეები არ არიან და მათ აქ არ უცხოვრიათ. მათთვის ქართული ენის გაკვეთილების საფასურს სახელმწიფო არ იხდიდა. მაშ, აქვს თუ არა სახელმწიფოს უფლება მოითხოვოს ის, რაც არ გაუღია? მთავრობის ყურადაც კი არ უღია ევროპის საბჭოს ექსპერტთა თხოვნა იმის შესახებ, რომ მესხებს ანკეტების შევსება მაინც შეძლებოდათ მათთვის გასაგებ ენაზე. რატომ მოიქცნენ ასე? არ ვიცი რატომ, ის კი ვიცი, რაც ამას ჰქვია – დისკრიმინაცია.

სახელმწიფო მოღვაწის და იმის შესახებ, თუ რატომ გამოაქვეყნა ჩემი ტექსტი «ტოლერანტმა»

«რატომ უკვირს ბარათაშვილს, რომ ქართველი სახელმწიფო მოღვაწე, კონკრეტულად - გიგა ბოკერია აცხადებს, რომ არაფერს ისეთს არ გააკეთებს, რაც ქართული სახელმწიფოს ინტერესებს ეწინააღმდეგება?" - კითხულობს ავტორი. ჩემს ტექსტში ბოკერია ერთ-ერთი პარტიული ლიდერის სახით გამოდიოდა. და მე ჩემი გულუბრყვილობით ვფიქრობდი, რომ ის მხოლოდ თავისი პარტიის ინტერესებზე ლაპარაკობდა. მაგრამ თუ ის სახელმწიფო მოღვაწის როლში იყო და თუ მას მხედველობაში სახელმწიფო ინტერესები ჰქონდა, მაშინ მით უარესი მისთვის. და ის, რომ მცნება «სახელმწიფო ინტერესები» მისთვის და ჩემთვის სხვადასხვა რამაა - ყველაზე დიდი საშინელება არ არის.

შეგახსენებთ, რომ ამ სახელმწიფო მოღვაწეთა დამსაქმებლები ჩვენ, საქართველოს მოქალაქეები ვართ. მათ შორის, მეც. ისინი ჩვენ დავიქირავეთ სამუშაოდ. ჩვენ ჩვენი გადასახადებიდან ვუხდით მათ შრომისთვის, ვანაზღაურებთ ყველა მათ ხარჯს. მაშინაც კი, როცა ბოკერია შვებულების დროს ისვენებს და ფიქრობს, რომ საკუთარი შვებულების ფულს იხდის, ეს მას მხოლოდ ჰგონია, მას ეს ფულიც ჩვენ მივეცით, ფულის გარდა, ჩვენ მას ბევრი უფლება და უფლებამოსილებაც მივეცით. ოღონდ ერთი რამის უფლება მისთვის ნამდვილად არავის მიუცია, მას უფლება არა აქვს შეიმუშავოს კანონი და ხმა მისცეს კანონს, რომელიც არღვევს ქვეყნის კონსტიტუციას. ქვეყანა ჩვენ გვეკუთვნის, მოქალაქეებს, ბოკერია კი ჩვენს სამსახურშია. ასე რომ კეთილსინდისიერად გვემსახუროს, თუ არადა, წავა.

გამოხმაურების ბოლოს ავტორი წერს: *«სტატია კი იმიტომ გამოვაქვეყნეთ, რომ სამწუხაროდ, იგი* (ეს მე ვარ, მ. ბ.) *რეპატრიანტთა ერთი ნაწილის განწყობილებას ასახავს. ვიმედობნებთ მცირე ნაწილის».* ავტორის ეს იმედები უსაფუძვლოა, მაგრამ მოდით, თანმიმდევრობით მივყვეთ. რატომ გამოაქვეყნეს? განვმარტავ. არასამთავრობო ორგანიზაცია «ტოლერანტის» ხელმძღვანელმა ცირა მესხიშვილმა წერილობით მთხოვა ნებართვა თავისი არასამთავრობო ორგანიზაციის ბიულეტენში გამოექვეყნებინა ჩემი სტატია «რეპატრიაციის შესახებ კანონის დასამარება». და მე დავრთე ნება. აი, რატომ გამოქვეყნდა ჩემი ტექსტი "ტოლერანტში». ვისი განწყობების გამომხატველი ვარ მე? აგიხსნით. მე უკვე ვთქვი, რომ ჩემს ტექსტში ჩემი პირადი თვალსაზრისია გადმოცემული. მაგრამ მას საქართველოში მცხოვრები რეპატრიანტი მესხების უმრავლესობაც იზიარებს. მეტიც, ზოგი მათგანი „კავკაზსკი აკცენტში» ჩემი ტექსტის გამოქვეყნების შემდეგ უკმაყოფილებას გამოთქვამდა იმის გამო, რომ მეტისმეტად ლმობიერად დავწერე. მათი აზრით, ისიც უნდა დამემატებინა, და ესეც და ჯობდა სხვანაირად, უფრო მწვავედ მეთქვა.

რაც შეეხება საქართველოს მიღმა მცხოვრებ პოტენციურ რეპატრიანტ მესხებს, აქ ბევრი ლაპარაკი არ არის საჭირო. ამაზე ციფრები, ჩვენი მთავრობის სტატისტიკა მეტყველებს. სულ 4 ათასამდე მესხმა შეიტანა განცხადება რეპატრიანტის სტატუსის მოსაპოვებლად. დეპორტირებულთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ კი განცხადება არ შეიტანა, ბოიკოტი გამოუცხადა კანონს. ეს ერთადერთ რამეზე მეტყველებს - ისინი რეპატრიაციის შესახებ მიღებული კანონის წინააღმდეგნი არიან, ანუ ჩემს თვალსაზრისს იზიარებენ. მაგრამ მე ეს სულაც არ მახარებს. იყოს კარგი კანონი რეპატრიაციის შესახებ და მე პირველი დავუჭერ მას მხარს. მე მისი პროექტიც კი მაქვს, მაგრამ ვის სჭირდება ეს? საქართველოს დღევანდელ ხელისუფლებას ეს არ სჭირდება.

მე კიდევ ბევრი რამ მქონდა სათქმელი, მაგრამ ისედაც გადავამეტე სტატიის ფორმატს. თანაც მე გამოხმაურების ფორმატითაც ვარ შეზღუდული. ამიტომ დავამთავრებ იმით, რომ

დროა, წარსულის ჩრდილიდან გამოვიდეთ.

სკოლის მოსწავლეებმაც კი იციან, რომ საქართველოს ხალხი ყველაზე მეტად დაზარალდა საბჭოთა რეჟიმისგან. თუმცა როგორც საბჭოთა რეჟიმმა გამოაცხადა დეპორტირებული მესხები მტრებად, ასეთებად რჩებიან ისინი დღესაც. ჩვენს სახელმწიფოს არ გამოუცხადებია, მესხები უდანაშაულო დაშავებულები არიანო, მას არ გამოუცხადებია, რომ საბჭოთა რეჟიმი ტოტალიტარული და არაადამიანური იყო. უკვე ევროპის საბჭომაც კი მიიღო რეზოლუცია, რომელშიც ჰიტლერისა და სტალინის რეჟიმები დანაშაულებრივებადაა გამოცხადებული.

რაც შეეხება გერმანელებს, აქ, გამოხმაურების თანახმად, ყველაფერი მარტივი და ნათელია. ჩვენ მზად ვართ, ჰიტლერისა და ნაციზმის ბოროტმოქმედებათა გამო დღევანდელი გერმანელებიც კი სამარცხვინო ბოძზე

გავაკრათ. სტალინის რეჟიმზე კი ხელი ვერა და ვერ აღგვიმართავს. გერმანიაში აზრადაც არავის მოუვა ეჭვი შეიტანოს იმაში, კარგი იყო ჰიტლერი თუ ცუდი. ამაში ისინი დიდი ხანია გაერკვნენ, დაემშვიდობნენ ბნელ წარსულს და ნათელ გზას დაადგნენ. ჩვენთან კი სტალინთან მიმართებაში ცოტა სხვანაირადაა საქმე.

ხელისუფლება კარგად მოიქცა, როცა ახლახან გორში სტალინის ძეგლი მოხსნეს, თუმც იძულებულები იყვნენ ფარულად, ღამის საფარის ქვეშ გაეკეთებინათ ეს. საზოგადოების მოწონების შემთხვევაში კი ეს იქნება სახალხო და საზეიმო მოვლენა სტუმრებისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მოწვევით, პირდაპირ ეთერში ტრანსლაციით. მაგრამ საზოგადოება ჯერ კიდევ არ არის ამისთვის მზად. საქართველოში ბევრს გმირულ პიროვნებად მიაჩნია სტალინი. სხვები კი თუ არ ეთაყვანებიან მას, პირველების საწინააღმდეგო არაფერი აქვთ. და მარტო ერთეულები გმობენ. არადა, ის ხომ საქართველოსთვის ოკუპანტი ქვეყნის ხელმძღვანელი იყო, რის შესახებაც მჭევრმეტყველურად წერს ავტორი. ის ჩვენთვის საძულველი საბჭოთა იმპერიის მეთაური იყო და ბევრი ქართველის მამა იქნა განადგურებული ან დეპორტირებული მისი ბრძანებით. მიუხედავად ამისა, ჩვენი მოქალაქეების ფულის წყალობით არსებობს ჩვენს ქვეყანაში ოკუპანტი ქვეყნის მეთაურის – ი. ბ. სტალინის მუზეუმი. მესხების დეპორტაციის მუზეუმი კი არა გვაქვს. უკვე ზვიად გამსახურდიაც რეაბილიტირებულია და მთაწმინდის პანთეონში განისვენებს. და თბილისში მტკვრის მარჯვენა სანაპიროსაც მისი სახელი ჰქვია. მისი მსხვერპლნი კი დღემდე არ არიან საკუთარ უფლებებში აღდგენილები.

დროთა განმავლობაში საქართველო მდიდარი ქვეყანა გახდება. ჩვენ ბევრ რამეს ავაშენებთ: ათვარსკვლავიან ოტელებს, ოქროს შადრევნებს, მფრინავ მატარებლებს... მაგრამ ვერ გავხდებით ცივილიზებული და თავისუფალი ადამიანების ქვეყანა მანამ, ვიდრე წარსულის ბორკილებისგან არ გავთავისუფლდებით. დროა სტალინიზმ-ზვიადიზმის შავი ჩრდილიდან ნათელ გზაზე გამოვიდეთ.

არასამთავრობო ორგანიზაცია «ტოლერანტის» საიტზე (www.toleranti.ge) ორგანიზაციის ერთ-ერთი მიზანი ასე ჟღერს: «ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლების მიერ საკუთარი უფლებების გაცნობა და ამ უფლებების დაცვის ხელშეწყობა». ეს ერთ-ერთი იმ მაჩვენებლთაგანია, რომლებსაც ნათელ გზაზე გავყავართ.

მარატ ბარათაშვილი, 2010 წ.
მთარგმნელი მანანა გელაშვილი